საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 21 ნოემბერი. 2018 წ. №236 (8637) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

⑥-⑦

ავთანდილ არაბული:

კვლავ საბედისწერო გზაჯვარედინთან? არა – არჩევანი ნათელია!

ნუთუ დანახვის მადლიც წაგვერთვა?!

შეიძლება, საკაშვილი და კეზერაშვილი წარდგნენ ჰაგაში, თორემ ოფიცრებსა და რიგით ჯარისკაცებს ეს არ შეეხებათ!

⑤

საქართველოს ჰყავს ორი მტერი – რუსული ოკუპაცია და სიღარიბე

საქართველოს ჰყავს ორი მტერი – რუსული ოკუპაცია და სიღარიბე, – თქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ პირველი არხის გადაცემაში „პრეზიდენტის არჩევნები 2018“. მისი თქმით, სიღარიბის დაძლევაში მთავარი პრობლემა გახდა ჭარბვალიანობა.

„ეს რეალობაა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ. შესაბამისად, სიღარიბის დაძლევა გადის, ჭარბვალიანობის პრობლემის მოგვარებაზე. ჩვენ სიღარიბის დაძლევაში გვაქვს პროგრესი, მაგრამ ჯერ კიდევ, ჩვენი მოსახლეობის 20 პროცენტზე მეტი, სამწუხაროდ, ცხოვრობს სიღარიბეში. ეს არის ამ მასშტაბის პრობლემა. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ასეთი მასშტაბის პრობლემაზე, მას სჭირდება, სისტემური მიდგომა და ის ვერ გადაიჭრება ერთჯერადი ნაბიჯით. ეს პრობლემა დაგროვილია წლების განმავლობაში და ჩვენ ის გვერგო ისტორიულად. წინა პერიოდში, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით ამ სტატუს-კვოს და ამ გარემოს შეცვლა. სასტარტო წერტილი ამ პრობლემების დაწყებისა გახდა 2007 წლის 29 ივნისის სრულიად უპასუხისმგებლო ნაბიჯი, როდესაც მაშინდელმა პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანება, როდესაც მოიხსნა ე.წ. მაქსიმალური ზღვარი საპროცენტო და საჯარიმო განაკვეთებზე“, – განაცხადა ბახტაძემ და აღნიშნა, რომ სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო უპასუხისმგებლო დაკრედიტება.

④

ბენზინგასამართმა სადგურებმა თბილისის ქუჩებში ტროტუარები შეჭამეს!..

პუტინი აშშ-ს შურისძიებით ემუქრება

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კრემლში განაცხადა, რომ კრემლი ვაშინგტონს სამაგიეროს გადაუხდის, თუ ამერიკის შეერთებული შტატები 1987 წელს გაფორმებულ საშუალო და ახლო მოქმედების რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმებას დატოვებს, – ამის შესახებ Reuters-ი წერს.

ამ საკითხზე რუსეთის პრეზიდენტმა ქვეყნის თავდაცვის უწყების მაღალჩინოსნებთან შეხვედრისას განაცხადა და ამ თემაზე აშშ-სთან მოლაპარაკების შესახებ მზაობა გამოთქვა.

საშუალო და ახლო მოქმედების რაკეტების ლიკვიდაციის შეთანხმებას 1987 წლის 8 დეკემბერს ხელი მიხეილ გორბაჩოვმა და რონალდ რეიგანმა მოაწერეს. ეს ცივი ომის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შეთანხმებად მიიჩნევა. მაშინ მოსკოვმა და ვაშინგტონმა უარი თქვა საშუალოდ ახლო მოქმედების ბალისტიკური და საკრუიზო რაკეტების შექმნაზე და არსებულის განადგურებაზე შეთანხმდნენ. ასეთ რაკეტებს მიზნამდე მიღწევა რამდენიმე წუთში შეუძლია. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დაადასტურა, რომ ოფიციალური ვაშინგტონი რუსეთთან ბირთვულ იარაღზე შეთანხმებას ტოვებს.

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „**საქართველოს რესპუბლიკას**“ ქაღალისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

ჯაშუშური თამაშები



ახალი წიგნი ფრედი ვუდროფის მკვლელობაზე

⑨

2020 წელს ნასა მარსზე ახალ „როვერს“ გაგზავნის

⑧

დღის მოწოდება

მეტი და მეტი ყურადღება ხალხის გულისხმას!

როგორც ზამთარს პირი უჩანს, კარგა გვარიანად მკაცრი იქნება, ყინვის მარწუხებს მოგვიჭერს, და იქ, სადაც ჯერ გაზი არ არის გაყვანილი და არც შეშით მომარაგებულია სოფლის ხალხი, ახალ აუგიან სალაპარაკოს გაუჩენს თვალმატლიან ნაციონალებს, რომლებიც ზამთრის სიმკაცრეს „ოცნების“ ხელისუფლებას და, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილს დააბრალებენ.... ხალხზე არ ზრუნავენ, უგაზოდ და უშეშოდ მისცეს ზამთარს პირში გაჭირვებული ხალხიო.

არადა, სოფლის გაზიფიკაციის საკითხი, მართალია, მძიმედ, მაგრამ უკვე წელშია გადატეხილი. გუშინდელი ცნობით, გურია მალე მთლიანად იქნება გაზიფიცირებული, ასე თანდათან გაზი მთელ საქართველოს მოიცავს, რაც დიდი შეღავათი იქნება ჩვენი ისედაც უკვე მწირი ტყეებისთვის. მაგრამ, სანამ გაზი მთლიანად შეეხიდება ჩვენს ტყეებს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რომლის უპირველესი მოვალეობა დიახაც ხალხზე ზრუნვაა, ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ მუნიციპალიტეტების მუშაკთა გულის სითბოს გარდა მოსახლეობამ შეშის სითბოც იგრძნოს. მეტადრე დროზე უნდა მიხედვა შედარებით გაჭირვებულ და მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა წევრებმა გამთბარი ხელებით უნდა მიიტანონ ბიულეტენები საპრეზიდენტო არჩევნების ყუთებთან.

გამარჯვებაც უთუოდ იმ კანდიდატის ხვედრია, ვისი მხარდამჭერიც გულგამთბარი და ხელებგამთბარი შემოხაზავს თავისთვის სასურველ კანდიდატს, რომლის დაპირებების სიმართლეც სჯერა და სახელმწიფოებრივი აზროვნებისაც.

მით უმეტეს, რომ პრეზიდენტი, რომელსაც ახლა ავირჩევთ, მთელი ქართველი ხალხის პრეზიდენტი უნდა იყვეს და არა რომელიმე თავისი დანაშაულებრივი „მოღვაწეობით“ ცნობილი პარტიისა, რომელიც, რა დასამალია და, რეფორმატორობის ნიღბით სხვა ბევრ ცრუ დაპირებასთან ერთად შურის საძიებლად ცდილობს ხელისუფლების ხელში ჩაგდებას.

არამკითხე მოამბენი სარდაფებიდან გამოვიდნენ!..

— ბანკის სესხების განულების ინიციატივაზე საუბარი არჩევნებამდეც იყო, არანაირი კავშირი არ აქვს არჩევნებთან, — ასე ეხმიანება თბილისის მერი კახა კალაძე არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკულ განცხადებას, რომელიც 600 000 მოქალაქისთვის სასესხო დავალიანების განულებას შეეხება.

„ამაზე საუბრობდა პარტიის თავმჯდომარე, როდესაც ის შემობრუნდა პოლიტიკაში. ძალიან მიხარია, რომ პრობლემა, რომელიც 600 ათასზე მეტ ადამიანს აწუხებდა, მოიხსნება. ძალიან რთულია, დაუკავშირო არჩევნებს. პირველ ტურში რომ დამთავრებულიყო არჩევნები და მერე რომ გამოცხადებულიყო ეს გადაწყვეტილება, მაშინ რას იტყოდნენ? არანაირი კავშირი არ აქვს, თუმცა თუ არის რაიმე კითხვები, შესაბამისი სამსახურები დაინტერესდებიან, ალბათ“, — განაცხადა კახა კალაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

პრემიერ-მინისტრის მიერ გამოცხადებულ მთავრობის ინიციატივასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც 600 000 მოქალაქეს 2000 ლარამდე ვალი გაუნულდება და მოვალეთა ე.წ. შავი სიიდან ამოიშლება, კითხვები აქვს არასამთავრობო სექტორს. ორგანიზაციების ერთობლივ განცხადებაში წერია, რომ აღნიშნული ინიციატივა, რომელიც ფონდი „ქართუს“ მიერ განხორციელდება, სავარაუდოდ, წარმოადგენს ამომრჩეველთა მოსყიდვის უპრეცედენტო შემთხვევას, რომლითაც სამართალდამცავი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ.

არასამთავრობო ორგანიზაციები — „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ საქართველოს პროკურატურას მოუწოდებენ, დროულად და ობიექტურად გამოიძიოს და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით.

ირმა ინაშვილი: არც პრეზიდენტობა, არც დეპუტატობა არ ღირს იმად, რომ ადამიანი აბუჩად ავიგდოთ!..

„ამ საარჩევნო კამპანიაში, რომელიც ანალიზისთვის თავისუფლად შეიძლება შევიტანოთ ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე, როგორც შავი პიარის და ანტიჟურნალისტიკის მკაფიო მაგალითი, ყველაზე ნიშანდობლივი იყო არჩევნებში მონაწილე პირების (განსაკუთრებით სალომე ზურაბიშვილის) დამცირების, განადგურების, ღირსების შელახვის ტენდენცია“, — ამის შესახებ ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ თავმჯდომარე სოციალურ ქსელში წერს.

„აქ არავინ მსჯელობდა თემატურად, აქ პირდაპირ ხორცის საკეპ მანქანას ატრიალებდნენ. ვიღაცას ეცინება, როცა მამაკაც პოლიტიკოსებს ქალის კაბას აცმევენ, ან ქალს ულვაშს აწებებენ, მაგრამ ეს მარაზმი ჩემთვის მიუღებელია, არა მარტო საკუთარ თავთან ან მხარდაჭერილ კანდიდატთან მიმართებაში, არამედ პოლიტიკურ მტრებთან დამოკიდებულებაშიც! არც ის მომწონს, როცა სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოებზე ქალის სამოსს „ოცნების“ მამაკაც ლიდერებს აცმევენ და არც ის მომწონს, როცა სხვა ფოტოებზე სააკაშვილი ქალის მანდილშია და ვაშაძეს ძუძუს აწოვებს! დიდი ხანია ზნეობის და ადამიანურობის ფარგლებს გასცდა ეს ყველაფერი. არც პრეზიდენტობა, არც დეპუტატობა, არც პრემიერობა, არც მინისტრობა ღირს იმად, რომ ადამიანი აბუჩად ავიგდოთ ან ავაგდებინოთ ვინმეს. მე ეს გადავიტანე საკუთარ თავზე და ახლაც არ მაკლია ცილისწამება და დაცინვა. საზოგადოებამ უნდა აღიმაღლოს ხმა. საზოგადოებამ უნდა თქვას, რომ არ უნდა ამისი ყურება, გავრცელება, ამისი მოსმენა და ამაზე სიცილი. საზოგადოება უნდა შეთანხმდეს იმაზე, რომ არსებობს წესი, რიგი, ჩარჩო, წითელი ხაზი, რომელიც არ უნდა გადაიკვეთოს“, — აცხადებს ირმა ინაშვილი.

ტერორისტი ბიძა-დისწულის საუბარი დადასტურდა!

შსს-ს ინფორმაციით, ექსპერტიზის შედეგად მიხეილ სააკაშვილისა და თემურ ალასანიას საუბრის ჩანაწერებში მათი ხმების ნამდვილობა დადასტურდა. ამჟამად გამოძიება ჩანაწერის გამავრცელებელი პირების იდენტიფიცირებაზე მუშაობს.

„გამოძიების ფარგლებში ჩატარებული სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებისა და ფონოსკოპიური ექსპერტიზის შედეგად იდენტიფიცირებულია, რომ აღნიშნულ აუდიოჩანაწერში, რომელიც „მიხეილ სააკაშვილისა და თემურ ალასანიას საუბრის ვიდეოჩანაწერის“ სახელით გავრცელდა, ხმები ეკუთვნის თეიმურაზ ალასანიასა და მიხეილ სააკაშვილს. აქვე გეტყვით, რომ გამოძიება, ასევე, მუშაობს ჩანაწერების მომპოვებელი და გამავრცელებელი პირების იდენტიფიცირების მიმართულებით, რისთვისაც შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები ტარდება“, — აცხადებენ უწყებაში.

ერთ-ერთ უკრაინულ ვებ-გვერდზე, სავარაუდოდ, მიხეილ სააკაშვილისა და თემურ ალასანიას ფარული აუდიოჩანაწერი რამდენიმე კვირის წინათ გავრცელდა. აღნიშნულზე შსს-მ გამოძიება 2018 წლის 2 ნოემბერს, საქართველოს სსკ-ს 158-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დაიწყო, რაც კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევას გულისხმობს. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო სხვადასხვა მედიასაშუალების მიერ გავრცელებული 2 ჩანაწერი: აუდიოჩანაწერი, რომელიც გავრცელდა სათაურით: **„მილიონ დოლარს გადავიხდი, ვინც სნაიპერსკი ვინტოვკით მოკლავს ბიძინას“** და ვიდეოჩანაწერი, რომელიც გავრცელდა სათაურით **„მიხეილ სააკაშვილისა და თემურ ალასანიას საუბრის ვიდეოჩანაწერი“.**

პრეზიდენტობის კანდიდატი რუსთავს ეწვია

პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი საარჩევნო კამპანიის ფარგლებში რუსთავში ჩავიდა. სალომე ზურაბიშვილი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის თანამშრომლებს შეხვდა და ქარხანაში არსებულ პირობებს გაეცნო.

„სურვილი იყო აქაური საწარმოს დათვალიერება და თანამშრომლებთან შეხვედრა, რადგან პირველ რიგში გამეგო, რა პირობები არის, ვინაიდან მინდა ევროპული სტანდარტების შემოტანა საწარმოებშიც. ეს საწარმო ამ კუთხით არის ერთ-ერთი სამაგალითო, რომელიც ყველა სტანდარტს და ადამიანურ პირობას იცავს კანონმდებლობის

მიხედვით, რომელიც სამწუხაროდ ზოგჯერ დაცული არ არის. ასევე, ეს არის თანამედროვე საწარმო, მიმდინარეობს ახალი ინვესტიციები და დასაქმებულია რუსთავიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი, გაზრდის პერსპექტივაც არსებობს და ეს არის ერთ-ერთი ფორმა, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია რეგიონები განვავითაროთ. რეგიონების განვითარება კი ნიშნავს, რომ ადამიანების მიგრაცია შემცირდება, ამიტომ ეს არის მომავალი და ვისურვებ, რომ ასეთი ფორმით, ასეთი დაცულობით ბევრი სხვა საწარმო არსებობდეს საქართველოში“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

19 პარტია ხელისუფლებას მიმართავს და საარჩევნო სისტემის ცვლილებებს ითხოვს

ინტერფრაქციული ჯგუფი ხელისუფლებას ინიციატივით მიმართავს. 19 პოლიტიკური პარტია მმართველ პარტიას საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით პოზიციის გამოხატვისკენ მოუწოდებს. ინტერფრაქციული ჯგუფი 2020 წლისთვის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის პროპორციულით შეცვლას ითხოვს.

„ჩვენ ვითხოვთ ხელისუფლებისგან, რომ მან დააფიქსიროს თავისი დამოკიდებულება საკონსტიტუციო ცვლილების აუცილებლობასთან დაკავშირებით საარჩევნო სისტემის ნაწილში, მეორე, ჩვენ კონკრეტულად აქცენტს ვაკეთებთ, რას ვგულისხმობთ ამ საკონსტიტუციო ცვლილებაში. ეს ნიშნავს ისევ და ისევ იმ ყბადაღებული მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას და პროპორციულის დამკვიდრებას. ამ საკითხზე, სისტემის დეტალებზე, იქ ბარიერზე, იქ ბლოკებზე და ა. შ. სისტემასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ვთავაზობთ ხელისუფლებას, რომ გადაუდებლად, უმოკლეს ვადებში შეიქმნას გარკვეული ფორმატი“, — აცხადებს „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე.

ბათუმში საარჩევნო კომისიის წევრებმა საარჩევნო კომისიები დატოვეს

გაერთიანებული ოპოზიცია **„ძალა ერთობაშიას“ წევრის მირდატ ქამადაძის განაცხადებით, ბათუმში 12 უბანზე კომისიის 19-მა წევრმა საარჩევნო კომისიები დატოვა. მისი განცხადებით, ყველა წევრი საოლქო კომისიის მიერ იყო არჩეული და ისინი პარტიული წევრები არ არიან.** ქამადაძე აცხადებს, რომ მომხდარი საეჭვო გარემოებაა და ის საოლქო საარჩევნო კომისიას რეაგირებას სთხოვს.

„თანამდებობები დატოვა ორმა თავმჯდომარემ, ოთხმა მოადგილემ და სამმა მდივანმა. ეჭვი არსებობს, რომ ზეწოლა განხორციელდა მათზე. ყველა უბანზე გაერთიანებულმა ოპოზიციამ მოიგო. ეს არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ ადამიანებზე ხორციელდება ზეწოლა. ამას სხვა ახსნა არ გააჩნია, რადგან ეს ყველაფერი მეორე ტურამდე ადრე ხდება. ხელისუფლება ამ ფორმით არჩევნების გაყალბებას ცდილობს. მოვითხოვთ, საოლქო საარჩევნო კომისიამ გააკეთოს განმარტება“, — განაცხადა მირდატ ქამადაძემ.

ქართველ ებრაელთა სათვისტომო სააკაშვილის ანტისემიტურ განცხადებას გმობს

ქართველ ებრაელთა სათვისტომო მიხეილ სააკაშვილის მიერ „ქართული ოცნების“ ისრაელელი პიარკონსულტანტის მოშე კლუგჰაფტის მიმართ გაკეთებულ განცხადებას ეხმიანება. სათვისტომო სააკაშვილის ამ განცხადებას ანტისემიტურს და დისკრიმინაციულს უწოდებს და გმობს მას.

„ჩვენ, ქართველი ებრაელები, აღშფოთებულები ვართ და ვგმობთ მიხეილ სააკაშვილის ანტისემიტურ და დისკრიმინაციულ განცხადებას მოშე გლუკჰაფტის მიმართ.სააკაშვილის სიტყვები შეურაცხყოფს არა მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებას მოშე გლუკჰაფტს, არამედ მთელ ებრაელ ხალხს და განსაკუთრებით შეურაცხმყოფელია საქართველოში მცხოვრები ებრაელებისთვის. ქართველ და ებრაელ ერს შორის არსებობს 26-საუკუნოვანი სამაგალითო და-ძმობა, რომელიც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული და ამას ვერაფერი დააზიანებს, მით უმეტეს ვიღაცის კერძო, არაკორექტული გამოსტომები. სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ებრაელების მიმართ სიძულვილის ენას იყენებს. კარგად გვახსოვს, რომ საქართველოს პარლამენტის წევრის შოთა შალელაშვილის მიმართ იმავე შინაარსის ანტისემიტური, დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი სიტყვები იქნა გამოყენებული. სააკაშვილის მხრიდან გაჟღერებულ, სიძულვილით გამსჭვალულ ანტისემიტურ განცხადებაზე შესაბამის რეაქციას ველით პოლიტიკური ძალების, მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. დარწმუნებულები ვართ, საზოგადოება დაგმობს და გაემიჯნება სააკაშვილის განცხადებებს და ყველას კიდევ ერთხელ დაანახვებს ორ ერს შორის მეგობრობის ღირსეულ მაგალითს“, — წერია ქართველ ებრაელთა სათვისტომოს განცხადებაში.

მიხეილ სააკაშვილმა ერთ-ერთ ვიდეომიმართვაში „ქართული ოცნების“ პიარსპეციალისტ მოშე კლუგჰაფტს „ებრაელი აფერისტი“ უწოდა.

ბრიუსელში ხელი მოეწერება რამდენიმე შეთანხმებას, რომელიც საქართველოსთვის 231 მილიონ ევრომდე დახმარებას ითვალისწინებს

დღეს, 21 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში, საქართველოს მთავრობისა და ევროკომისიის წევრების მონაწილეობით დაგეგმილი უმაღლესი დონის პირველი შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერება რამდენიმე შეთანხმებას და დოკუმენტს, რომელიც საერთო ჯამში საქართველოსთვის 231 მილიონ ევრომდე დახმარების გამოყოფას ითვალისწინებს.

კერძოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი და ევროკომისარი გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში იოჰანეს ჰანი ხელს მოაწერენ შემდეგ დოკუმენტსა და შეთანხმებებს: „უნარების განვითარების მხარდაჭერა“, „ეკონომიკური განვითარებისა და ბიზნესის მხარდაჭერა საქართველოში“, ხელი ასევე მოეწერება დოკუმენტს საქართველოსთვის ევროკავშირის დახმარების ერთიანი ჩარჩო პროგრამის (Single Support Framework 2 SSF) 2018 წლის სამოქმედო გეგმის თაობაზე.

პრემიერ-მინისტრის ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია შეხვედრა ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტთან დონალდ ტუსკთან; პრემიერ-მინისტრის გამოსვლა კარნეგის ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე. ვიზიტის ფარგლებში ასევე შედგება პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან და გაიმართება მიღება ევროკავშირის ინსტიტუტებისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების მონაწილეობით. ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში გაიმართება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკალიანის გამოსვლა ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში.

მთავრობა საპენსიო სესხებთან დაკავშირებით ახალი ინიციატივებს წარადგენს

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ პირველი არხის ეთერში განაცხადა, ხელისუფლება აქტიურად მუშაობს პენსიებთან დაკავშირებულ სესხებზე და ძალიან მოკლე ვადებში ახალი ინიციატივებს წარმოადგენს.

„ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, რომ პენსიებთან დაკავშირებულ სესხებზე ისეთი რეგულაცია არსებობდეს, რომელიც პენსიონრების უფლებებს მაქსიმალურად დაიცავს და არ გამოიწვევს იმას, რაც დღეს ხშირად გვაქვს, რომ ფულადი სახსრების თვალსაზრისით, ჩვენი პენსიონერებისთვის თვიდან თვემდე ჩამორჩენაა. ეს ჩვენს ძალიან ბევრ მოქალაქეს ეხება და ეს სერიოზული გამოწვევაა. აქაც სერიოზული სამუშაოს ჩატარება გვჭირდება, რომ ჩვენს მოქალაქეებს კონკრეტული პროდუქტი შევთავაზოთ, მაგრამ ამ საკითხზე ვმუშაობთ და ძალიან მოკლე ვადებში ახალი ინიციატივები აქაც გვექნება“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

საპატრულო პოლიციის აღჭურვილობას დეკემბრიდან ამერიკის საჩუქარი დაემატა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიურომ (INL) სიჩქარის მზომი 9 რადარი საჩუქრად გადასცა.

ახალი რადარების ეფექტიანი გამოყენების მიზნით, ამერიკელმა ინსტრუქტორებმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 18 თანამშრომელს 4-დღიანი ტრენინგი ჩაუტარეს. სწავლება პრაქტიკულ და თეორიულ მეცადინეობებს მოიცავდა.

მიმდინარე წლის დეკემბრიდან, გადამზადებული პატრულ-ინსპექტორები ხელის რადარებს პირველად მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, დარიალის ხეობაში, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის, კობი-გუდაურის მონაკვეთზე გამოიყენებენ. საპატრულო პოლიცია ხელის რადარებს საავტომობილო გზის იმ მონაკვეთებში დანერგავს, სადაც „ჭკვიანი“ ვიდეოკამერების დაფარვის არეალი არ ვრცელდება და ავტოსაგზაო შემთხვევების რისკი მაღალია.



სამართლიანობა აღდგება?!

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მორიგი შემაჯამებელი გადაწყვეტილებების შედეგად პოლიტპატიმარ მერაბ რატიშვილის საქმე გადაისინჯება, ასევე განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება იქნა მიღებული ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადების ფაქტზე მსჯავრდებულ გიორგი ავალიშვილის მიმართ, ხოლო ერთ დაზარალებულ მოქალაქეს 336 300 ლარად შეფასებული საოფისე ფართი დაუბრუნდება.

საქართველოს პროკურატურის მიერ გახსნილი მორიგი დანაშაულებრივი ფაქტების შედეგად დადგენილია, რომ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური მოძრაობების მხარდამჭერი, ბიზნესმენი მერაბ რატიშვილი ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიციურ მოძრაობას აფინანსებდა და აქტიურ პროტესტს გამოხატავდა. სწორედ მისი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო, დასჯის და პოლიტიკური პროცესებიდან ჩამოცილების მიზნით, იგი 2007 წლის 26 ოქტომბერს, „სოდ“-ის თანამშრომლებმა თბილისში, ქიაჩელის ქუჩაზე დააკავეს, რა დროსაც ავტომანქანასა და საცხოვრებელ სახლში ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ ჩაუდეს. გაყალბებული მტკიცებულებების საფუძველზე მერაბ რატიშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისთვის და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მან სასამართლო დაწესებულება 2013 წელს, პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭების შემდეგ დატოვა.

ახალი დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოძიებით გამოვლინდა მსჯავრდებულის გამამართლებელი სრულიად ახალი მტკიცებულებები და გარემოებები, გამოიკვეთა „სოდ“-ის თანამშრომლების არალეგიტიმური დაინტერესება მერაბ რატიშვილის მიმართ. აქედან გამომდინარე პროკურატურა მიმართავს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გაუქმების მოთხოვნით.

განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება იქნა მიღებული ასევე ოპოზიციური პოლიტიკური მოძრაობის წევრის გიორგი ავალიშვილის მიმართ.

2010 წლის დეკემბრიდან გიორგი ავალიშვილს კახეთის რეგიონსა და თბილისში საკუთარი „ფორდი“-ს მარკის სამგზავრო მიკროავტობუსით, საპროტესტო აქციებზე „სახალხო კრების“ წევრები დაჰყავდა. სწორედ მისი პოლიტიკური აქტიურობის და ოპოზიციის მხარდაჭერის გამო, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ დაიგეგმა დანაშაულის პროვოკაციის მოწყობა და მისი დაკავება.

2011 წელს, საგარეჯოში, გიორგი ავალიშვილს ფინანსური პოლიციის აგენტმა, თითქოსდა იგი ტურისტული კომპანიის ხელმძღვანელი იყო, მოტყუებით დაამზადებინა მგზავრთა გადაყვანის ყალბი საბუთი, რის საფუძველზეც გიორგი ავალიშვილი ადგილზე დააკავეს. 2011 წლის 24 აგვისტოს გიორგი ავალიშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადების ფაქტზე და 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გიორგი ავალიშვილს სასჯელის მოხდა გადაუვადდა. საპატიმროს დატოვებიდან 3 დღეში იგი გარდაიცვალა.

ახალი გამოძიების პროცესში გამოიკვეთა ის პოლიტიკური მოტივი, რაც წინ უძღოდა გიორგი ავალიშვილის დაკავებას, დადასტურდა სამართალდამცავების მიერ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების ხელოვნურად წარმართვის ფაქტი. აქედან გამომდინარე, პროკურატურა სააპელაციო სასამართლოს გიორგი ავალიშვილის განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით მიმართავს.

საქართველოს პროკურატურამ უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების გადაწყვეტილებაც მიიღო.

2004 წელს ვლადიმერ და თამილა აბსანძეების მიერ შეძენილი ქ.ზუგდიდში, გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე 267.00 კვ.მ საოფისე ფართი ხელისუფლების ინტერესების ქვეშ აღმოჩნდა. სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურაში ვლადიმერ აბსანძე დაიბარეს, სადაც მოსალოდნელი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით კატეგორიულად მოსთხოვეს მისი ოჯახის კუთვნილი ქონების დათმობა.

განხორციელებული ზეწოლის შედეგად თამილა აბსანძემ საგამოძიებო ორგანოში პროკურორის მითითებით ხელწერილი დაწერა, თითქოსდა ის ვერ იყენებდა ქონებას და სახელმწიფოს სასარგებლოდ თმობდა.

მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების საფუძველზე, პროკურატურა მიმართავს სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოს, რათა დაზარალებულ თამილა აბსანძეს დაუბრუნდეს ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული 336 300 ლარად შეფასებული საოფისე ფართი.

რაც შეეხება დანაშაულებრივ ქმედებებში მხილებულ ყოფილ საჯარო მოხელეებს, გამოძიებასთან თანამშრომლობის ხარისხის გათვალისწინებით, პროკურატურა გამოძიების დასრულების შემდეგ მიიღებს მათ მიმართ გადაწყვეტილებას.

ახალი დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად, ამ დროისთვის დაზარალებულად ცნობილ 173 პირს დაახლოებით 45 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება დაუბრუნდა, მათ შორის ავტომანქანები, საცხოვრებელი ბინები, საოფისე და კომერციული ფართები, ღვინის ქარხანა, საცურაო და სასტუმრო კომპლექსები, მიწის ნაკვეთები და ა.შ., ხოლო ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით 64 მსჯავრდებულის საქმეზე მიმართა, საიდანაც 50 პირის მიმართ უკვე დადგა გამამართლებელი განაჩენი, აქედან 16 პოლიტპატიმრის სტატუსს ატარებს.

ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲢᲠᲝᲢᲣᲐᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲭᲐᲛᲔᲡ!..

„ᲩᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲡ�წᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲐᲓ“, — თბილისის მერის კახა კალაძის ეს განცხადება რომ ხშირად აცდენილია რეალობას, ყველაზე ხშირად ფეხით მოსიარულეები გრძნობენ. ამ შემთხვევაში საუბარი გვაქვს ტროტუარებზე, რომელიც არა მხოლოდ დისკომფორტული, არამედ ზოგჯერ სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია.

პრობლემა ბევრად უფრო მწვავე ხდება, თუ საუბარი ბენზინგასამართ სადგურებს შეეხება, რომელიც უშუალოდ ტროტუარზე მდებარეობს და საფეხმავლო ბილიკისთვის ადგილი საერთოდ არ არსებობს. დარგის სპეციალისტები რეალობას მარტივად ხსნიან: **„ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲛᲐ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲢᲠᲝᲢᲣᲐᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲭᲐᲛᲔᲡ“.**

მაგალითი არაერთია, მათ შორის ყველასთვის ცნობილი ლაგუნა ვერეს მიმდებარე ტერიტორია, სადაც ბენზინგასამართი სადგურები უშუალოდ ტროტუარზეა განთავსებული. კოსტავას ქუჩაზე ზოოპარკის შესასვლელთან არსებული „ვისოლი“-ს ბენზინგასამართი; დადიანის ქუჩაზე ზუსტად მე-10 სკოლის წინ მორიგი სადგური დაგხვდებათ და საფეხმავლო ბილიკი საერთოდ არ შეგხვდებათ. გლდანში გობრონიძის 8 ნომერში „გალფის“ ბენზინგასამართი სადგურიც ზედ ტროტუარზეა გათავსებული.

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მშენებლობაზე ნებართვა კახა კალაძის მერობის დროს არ გაცემულა, თუმცა მოცემული კანონმდებლობა დღეს ტროტუარებზე ბენზინგასამართი სადგურების განთავსებას არ კრძალავს, რაც, თავის მხრივ, არც იმას გამორიცხავს, რომ შესაძლოა, დედაქალაქს უფრო მეტი პრობლემა შეემატოს. თანაც მაშინ, როდესაც გლდანში, გობრონიძის ქუჩის შემთხვევაში, მაგალითად, „გალფის“ შენობა ადრე აშენდა, მაგრამ რეკონსტრუქციაზე ნებართვა მიმდინარე წლის სექტემბერში გაიცა.

როგორც დარგის სპეციალისტები „კომერსანტთან“ განმარტავენ, არ არსებობს კონკრეტული თანამედროვე სტანდარტი, როგორ და რის მიხედვით მოეწყოს დედაქალაქის ტროტუარები. შესაბამისი სამსახურები კი მოქმედებენ უძველესი საბჭოური ე.წ. გოსტებით, რომელიც უფრო ინჟინრულ საკითხებს მოიცავს, ვიდრე უსაფრთხოებას. ხშირ შემთხვევაში ეს საბჭოური წესებიც ირღვევა. მაგალითად, კეკელიძის ქუჩის ბოლოში, ჟვანიას ქუჩის დასაწყისში სავალი ბილიკი საერთოდ არ არსებობს და ადამიანები, ფაქტობრივად, შუა ქუჩაში გადაადგილდებიან.

„თანამედროვე სტანდარტი, პირველ რიგში, ორიენტირებულია ქვეითის უსაფრთხოდ გადაადგილებაზე, რაც ჩვენთან უკვე შეუძლებელია. ვითარება უფრო მძიმდება ბენზინგასამართების შემთხვევაში, რადგან წარმოიდგინეთ, დღემდე მკაცრად რეგლამენტირებული ისიც კი არ არის, საერთოდ სად უნდა იყოს განთავსებული ეს სადგურები და სად არა. ამ დროს რისკები მაღალია: მაგალითად, ნებისმერ წუთს შესაძლოა, გაიაროს ადამიანმა, რომელიც თამბაქოს მოიხმარს. ასევე ბენზინგასამართამდე ტროტუარები, როგორც წესი, მთავრდება და არ არის საფეხმავლო. ყოველწამიერი რისკია ისიც, რომ ავტომობილი ადგილზე ისე შედის და გადის, მუდმივად მაღალია ავარიული შეჯახების ალბათობა, რის გამოც ხელოვნურად ფერხდება ტრანსპორტის მოძრაობა, მცირდება გამტარუნარიანობა და იქმნება საცობები. თბილისში იშვიათად გვხდება ადგილები, სადაც დამცავებია მოწყობილი — ასეთი რამ სკოლებთანაც კი არ არის“, — განმარტავს გზების ასოციაციის თავმჯდომარე დავით მესხიშვილი.

დავით მესხიშვილის მოსაზრებას სრულად იზიარებს „hub Georgia“-ს დამფუძნებელი ვასილ ურუშაძეც. მისი თქმით, ზოგადად ბენზინგასამართების პრობლემა და კონკრეტულად მათი განთავსების არეალებიც უკვე ბოლო ათწლეულია, რაც დედაქალაქის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. მათ შორის საკითხი კვლავ აქტუალურია კახა კალაძის მერობის დროსაც.

„ზოგადად, ეს თემა დღის წესრიგში არაერთხელ დადგა. ნარმანიას მერობისას გაკეთდა განცხადება, რომ მოხდებოდა სადგურების ტროტუარებიდან აღება და ასევე მომავალში აღარ გაიცემოდა მსგავსი ნებართვები. თუმცა განცხადებიდან ზუსტად რამდენიმე თვეში გაიცა ნებართვა ლაგუნას ტერიტორიაზე, სადაც არის „ლუკოილი“ და „გალფი“; მათ მოპირდაპირე მხარეს გაიხსნა „ფრეგო“. კახა კალაძე ამ თემაზე საერთოდ არ საუბრობს, რაც ეჭვებს ბადებს. რაც შეეხება რეგულაციას, ბევრი ხარვეზია ამ კუთხითაც. ძირითადად უფრო ყურადღება გამახვილებულია შენობის მოწყობაზე, ვიდრე უსაფრთხოებაზე. ასევე, ბუნებრივია, არ ხორციელდება არც მონიტორინგი. ზოგადად, ვისაც ბენზინგასამართი სადგურის აშენება სურს, ფორმალურ ექსპერტიზას ატარებს, იღებს ლიცენზიას და შესაბამის დასკვნას მერიაში წარადგენს, სადაც, როგორც წესი, არ კეთდება ანალიზი, მოკვლევა, რა უკუშედეგი შეიძლება კონკრეტულ ტერიტორიაზე განთავსებულმა ბენზინგასამართმა მოიტანოს“, — აღნიშნავს ვასილ ურუშაძე.

კითხვაზე, როგორი უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბენზინგასამართი სადგური და სად უნდა განთავსდეს იგი, როგორც „hub Georgia“-ს დამფუძნებელი ვასილ ურუშაძე ამბობს, რომ პირველ რიგში განვითარებული ქვეყნებში მსგავსი შენობები ქალაქის ცენტრში არასდროს გვხვდება. როგორც წესი, ბენზინგასამართები მაგისტრალებზე და შესაბამის ტერიტორიებზეა მოწყობილი; დამონტაჟებულია ე.წ. დამცავებიც, რათა გზის სავალი ნაწილიდან უსაფრთხოდ მოხვდე აღნიშნულ ტერიტორაზე. თბილისში მსგავსი არეალების შექმნა და განვითარება შესაძლებელია კახეთის გზატკეცილზე, მეტ-ნაკლებად აღმაშენებლის ხეივანზე და ა.შ.

„ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ბევრ ქალაქში ასევე გამოყოფილია სპეციალური ადგილები, სადაც ყველა ბენზინგასამართი სადგური ერთად იყრის თავს. მსგავსი სწორი პოლიტიკა უნდა შემუშავდეს საქართველოშიც, სადაც პრობლემა გვაქვს მმართველობაშიც და ბიზნესშიც. ეს უკანასკნელი რატომღაც ფიქრობს, რომ თუ ახლოს მივა მომხმარებელთან, მეტ რეალიზაციას მოახდენს და ამიტომ საქმიანობას იწყებს ყველგან, სადაც მოისურვებს. თავის მხრივ, ამ ყველაფრისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებიდან ჩანს, რომ მას დიდი ფინანსური დაინტერესება აქვს. კერძოდ, კორუფცია, ნეპოტიზმი, რის გამოც კომპანიებს აძლევს საშუალებას, სურვილისამებრ განათავსონ საკუთარი ბენზინგასამართი სადგურები“, — ამბობს ვასილ ურუშაძე.

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲚᲔᲛᲝᲜᲯᲐᲕᲐ

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲑᲠᲣᲜᲕᲐ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲑᲠᲣᲜᲕᲐ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ. „ᲡᲐᲥᲡᲢᲐᲢᲘᲡ“ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲑᲠᲣᲜᲕᲐᲛ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲗᲐᲜ 2 769.7 ᲛᲚᲜ. ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ, ᲠᲐᲪ ᲬᲘᲜᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲡ 18.6 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲡ, 2018 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠ-ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲚᲘ 32.7 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ.

2018 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა 599.7 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 11.1 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 21.8 პროცენტს შეადგენს. იმპორტმა 2 169.9 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (20.9 პროცენტით მეტი) და მთლიანი იმპორტის 28.7 პროცენტი შეადგინა.

„საქსტატის“ მონაცემებით, 2018 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 10 305.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 20.5 პროცენტით აღემატება.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ 186 ᲐᲗᲐᲡ 800 ᲡᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘ ᲓᲐᲙᲚᲔᲡ

„ᲡᲐᲥᲡᲢᲐᲢᲘᲡ“ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, 2018 ᲬᲚᲘᲡ III ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 100 ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲙᲚᲐᲝ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲗᲒᲐᲜ 21,0 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ — ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ, 15,0 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ — ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ, 14,0 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ — ᲨᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ, 12,0 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ — ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲨᲘ, 10,0 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ — ᲡᲐᲛᲔ�გᲠᲔᲚᲝ-ᲖᲔᲛᲝ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ 28,0 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘᲐ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2018 წლის III კვარტალის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლულია 186,8 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 23,7 პროცენტი მსხვილფეხა, ხოლო 76,3 პროცენტი — წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 2662,0 ათასი ერთეულით განისაზღვრა. სასაკლაოების მიერ 2018 წლის III კვარტალის განმავლობაში 11339,9 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 37,8 პროცენტი მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე. ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლა — 23,6 ლარი, ცხვრის ან თხის დაკვლა — 11,0 ლარი, ხოლო ღორის დაკვლა — 21,1 ლარი.

შეიძლება, სააკაშვილი და კეზერაშვილი წარდგნენ ჰააგაში, თორემ ოფიცრებსა და რიგით ჯარისკაცებს ეს არ შეეხებათ!

კახა კალაძის განმარტებით, ქართველი სამხედროების ჰააგაში გასამართლებისთვის არავითარი თეორიული საფრთხეც კი არ არსებობს. უბრალოდ, „ნაცმოძრაობა“ ცდილობს ასეთი ბინძური ტყუილებით ჩვენი შეიარაღებული ძალების ერთიანობასა და სიმტკიცეში ბზარის გაჩენას.

„აგვისტოს ომში მონაწილე მაშინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ მიტოვებულ ჩვენს გმირ ოფიცრებს, სერჟანტებსა და რიგითებს ელოდებათ

არა სასამართლო, არამედ დიდება და პატივი მადლიერი ქართველი ხალხისგან. სასამართლო ემუქრება ოკუპანტებს და ბანდფორმირებებს, რომლებმაც ეთნიკური წმენდა ჩაატარეს ქართულ მიწაზე. უბრალოდ, ეს სიცრუე მოიგონეს მათ, ვინც დანაშაული ჩაიდინა საქართველოს ისტორიისა და მისი მომავლის წინაშე. მათ ანტისახელმწიფოებრივი აზროვნების ახალი სიმაღლეები დაიპყრეს“, — აცხადებს **კახა კალაძე.**

სინამდვილეში, რა მოხდება ჰააგაში და ვისი პასუხისმგებლობის საკითხი დაისმება?

სამხედრო სფეროს ექსპერტი, ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ჰააგაში გასამართლება არ შეეხებათ უბრალო სამხედროებს. აქ საუბარია მაღალი თანამდებობის პირებზე და მაღალი რანგის ოფიცრებზე, რომლებმაც გასცეს ბრძანება კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის. შეიძლება, ამისთვის მიხეილ სააკაშვილი, კეზერაშვილი წარდგნენ ჰააგაში, რომლებმაც გასცეს ბრძანება ასეთი ქმედების განხორციელებისთვის. თორემ ოფიცრებს, რომლებიც შეადგენდნენ საშუალო დაბალ რანგს და რიგით ჯარისკაცებს, ეს არ შეეხებათ.

ვახტანგ მაისაიას განმარტებით, მსგავსი პრეცედენტი არც ყოფილა იუგოსლავიაში შექმნილ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალთან თანამშრომლობის ეროვნულ საბჭოზეც კი. ჰააგის ტრიბუნალმა გაასამართლა 30-ზე მეტი გენერალი, ანუ მაღალჩინოსანი, მათ შორის, არა მარტო სერბეთიდან, არამედ ხორვატიიდანაც. მათ გაასამართლეს ბოსნიელებიც და ამის გამო არც ბოსნიას და არც სერბეთს არ მოსცხებია ჩირქი.

„ზოგიერთები ლაპარაკობენ სეპარატისტული რეჟიმების აღიარებაზეც. სხვათა შორის, კოსოვოს აღიარება დაიწყო გაცილებით ადრე, ვიდრე ჰააგის ტრიბუნალი შედგებოდა. ამიტომ კოსოვოს პრეცედენტის დაკავშირება ჰააგის ტრიბუნალთან არასწორია. ჰააგის ტრიბუნალზე კი არ დამდგარა კოსოვოს აღიარების საკითხი, არამედ კოსოვოს აღიარება იყო პოლიტიკური მომენტი და დასავლეთის სახელმწიფოებმა ჩათვალეს, რომ უნდა შეემცირებინათ გენოციდის ის მასშტაბი, რომელიც სერბეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩაიდინეს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამიტომ იმ მომენტშივე მიიღეს გადაწყვეტილება. კოსოვოს აღიარების პროცესი დაიწყო დაახლოებით რამდენიმე თვის მერე, რაც დასრულდა საბრძოლო ოპერაციები კოსოვოს ტერიტორიაზე. ხოლო ჰააგის ტრიბუნალი შედგა გაცილებით გვიან, ვიდრე კოსოვოს პრეცედენტი მოხდებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხინვალისა და აფხაზეთის აღიარება ჰააგის ტრიბუნალთან კავშირში არ არის“, — აცხადებს ვახტანგ მაისაია და კიდევ ერთხელ აკონკრეტებს, რომ ჰააგის ტრიბუნალი ასამართლებს მხოლოდ პიროვნებებს, ადამიანებს, სამოქალაქო და სამხედრო პირებსაც კი, რომლებმაც ჩაიდინეს სამხედრო დანაშაული და ამის მტკიცებულებები არსებობს.

ანალიტიკოსის განმარტებით, ცხადია, გასამართლება შეეხებათ სეპარატისტულ ძალებსაც და, პირველ რიგში, დადგება ოსი სეპარატისტების ბრალეულობა, რომლებმაც პირველად გახსნეს ჩვენ წინააღმდეგ ცეცხლი. სწორედ მათ ჩაიდინეს პირდაპირი დანაშაული საქართველოს სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, როცა წვავდნენ და მიმართავდნენ გენოციდს შიდა ქართლისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის წინააღმდეგ. ეს ნიშნავს, რომ ჰააგა ჯერ სეპარატისტების გასამართლებას დაიწყებს.

სამხედრო ექსპერტს **აკია ბარბაქაძეს** მიაჩნია, რომ ჰააგაში სამხედრო დანაშაულებს იკვლევენ, ამიტომ ეეჭვება, რომელიმე ქართველი სამხედროს პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. For.ge-სთან საუბარში აკია ბარბაქაძე აცხადებს, რომ ჩვენ ვალდებული ვართ, ჰააგასთან ვითანამშრომლოთ. უფრო მეტიც, ყველა საერთაშორისო ტრიბუნალთან უნდა ვითანამშრომლოთ, რადგან ჩვენ ვართ მართალი მხარე ამ ომში.

„დიახ, რუსეთი ოკუპანტია და ეს ომი დიდი ხანია, დაწყებულია, ეს ომი არც ახლა დამთავრდება. რუსეთი მეზობელი დიდი სახელმწიფოა, რომელიც არც მალავს თავის ინტერესებს და ყოველთვის ეცდება, ხელის გადაგრეხვით აწარმოოს პოლიტიკა. მისი პოლიტიკური ხერხებია ჩექმა, იარაღი, შანტაჟი. თუ გავიხსენებთ 20-იან წლებს, ვნახავთ, რომ საქართველო კი არა, ესპანეთი და სხვა ტრადიციული ქვეყნებიც რუსებს წითელი ტერორის ქვეშ ჰყავდათ და ერეოდნენ იმ სახელმწიფოების საქმიანობაში. ახლა, უბრალოდ, ტექნოლოგიები შეიცვალა, წინ წაიწია სოციალურმა ქსელმა, თორემ პროპაგანდის ძირითადი ელემენტები ისევ იგივე დარჩა. რუსებს ეს ინსტიტუტები აწყობილი აქვთ და მათ იყენებენ. მე არ მინდა და თავს ვიკავებ, ვიღაცას ვიღაცის აგენტი დავარქვა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, ვის აწყობს არეულობა ჩვენს ქვეყანაში და ვინ ეცდება მღვრიე წყალში თევზის დაჭერას. ეს ხომ ისედაც ნათელია. სამწუხაროა, რომ საქართველოში გამოვიდა ხალხი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ჩანდა. 15 წლის განმავლობაში მეტი უსამართლობა ამ ქვეყანაში არ ხდებოდა, ხმა რომ არ ამოუღიათ? დღეს კი ყველაფერს ტანზე იხევენ, თუკი კონკრეტული პრეზიდენტობის კანდიდატი ხელისუფლებაში მოვა, ჰააგა გველისო. სინამდვილეში, არავინ არავის არ დაიჭერს, ამათ ისეთი დანაშაული არ მიუძღვით ჰააგაში, რომ მაგის ეშინოდეს ვინმეს და საკუთარი ტყავის გადასარჩენად იბრძოდეს. მე უფრო მგონია, ზოგიერთებს უკან მოტრიალების სურვილი აქვთ, რადგან მათ არწმუნებენ, რომ თანამდებობებს კვლავაც მისცემენ და უკან მოაბრუნებენ შეიარაღებულ ძალებში. უფრო ეს უნდა ამოძრავებდეთ ყოფილ სამხედროებს, ვიდრე ჰააგის სასამართლოს შიში“, — აღნიშნა აკია ბარბაქაძემ.

მანანა ნოზაძე

„ინტერპოლის“ პრეზიდენტად შესაძლოა, რუსი გენერალი აირჩიონ

დღეს, 21 ნოემბერს, დუბაიში, ინტერპოლის გენერალურ ასამბლეაზე წევრი ქვეყნები ორგანიზაციის ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. დასავლური მედიის ცნობით, ახალი პრეზიდენტი შესაძლოა, გახდეს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი, გენერალი ალექსანდრე პროკოპჩუკი. ის 2016 წლიდან იკავებს ინტერპოლის ვიცე პრეზიდენტის თანამდებობას.

ინტერპოლის პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი რუს გენერალთან ერთად არის ორგანიზაციის ამჟამინდელი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი სამხრეთკორეელი კიმ ჩენ იანგი.

რუსი გენერლის ინტერპოლის პრეზიდენტად არჩევას ეწინააღმდეგებიან ამერიკელი სენატორები. რესპუბლიკელმა სენატორებმა მარკო რუბიომ და როჯერ უიკერმა, ასევე დემოკრატებმა, ჯინ შაჰინმა და კრის კუნსმა მიმართეს ინტერპოლის გენერალურ ასამბლეას და აშშ-ის პრეზიდენტს დონალდ ტრამპს, რომ არ დაუშვან რუსი გენერლის არჩევა.

სენატორების განცხადებით, რუსი გენერლის ინტერპოლის პრეზიდენტად არჩევა იგივეა, რომ მელას საქათმე ჩააბარო.

ამერიკელი სენატორები განცხადებაში აღნიშნავენ, რომ გენერალი პროკოპჩუკი მონაწილეობს ვლადიმერ პუტინის ავტორიტარული რეჟიმის გაძლიერებაში და ადამიანის უფლებების დარღვევის სხვადასხვა საქმეში. გენერალური ასამბლეის სხდომაზე ახალი პრეზიდენტის არჩევის საკითხი მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც მისი მოქმედი პრეზიდენტი მენგ ჰონვეი მიმდინარე წლის ოქტომბერში გაუჩინარდა. მოგვიანებით, ჩინეთის მთავრობის განცხადებით, ის კორუფციის ბრალდებით დააკავეს.

კოსოვოს ინტერპოლის წევრობაზე უარი უთხრეს

კოსოვოს მცდელობა, „ინტერპოლის“ წევრი ქვეყანა გამხდარიყო, კრახით დამთავრდა. ინფორმაციას euronews-ი ავრცელებს.

წევრობასთან დაკავშირებით კოსოვოს მოთხოვნას კენჭი დუბაიში მიმდინარე „ინტერპოლის“ გენერალური ასამბლეის სხდომაზე უყარეს. თუმცა წინადადებამ ვერ მოიპოვა ხმათა საჭირო უმრავლესობა.

სერბეთის შინაგან საქმეთა მინისტრი აღნიშნულ გადაწყვეტილებას ტვიტერზე გამოეხმაურა — კენჭისყრის პროცესის ამსახველი ფოტო გამოაქვეყნა წარწერით „გამარჯვება“.

კოსოვომ სერბეთისგან დამოუკიდებლობა 2008 წელს გამოაცხადა.

კვლავ საბედისწერო გზაჯვარედინთან? არა – არჩევანი ნათელია!

ავთანდილ არაბული,
აკადემიკოსი
(595-333-552)

არასტანდარტულად დავიწყებ: მინდა, მივესალმო ჩემთვის უცნობ პარლამენტარს ლევან კობერიძეს და შევუძო ინიციატივა: „მივიღოთ ლუსტრაციის კანონი“! დიახ, თუ სახელმწიფოს ვაშენებთ, ეს მტკივნეული ნაბიჯი უნდა გადავდგათ. დაე, ახდეს ამდენი მართალი მამულიშვილის ოცნება! მართალია, ძალზე დაგვიანდა (და ამასობაში თითქმის ყველამ მოასწრო „თვითლუსტრირება“), მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ბატონო ლევან, უკვე აფუთფუთდნენ და დიდადაც შეგიშლიან ხელს, მაგრამ იმედი მაქვს, არ გადათქვამთ და ბოლომდე მიიყვანთ ამ საქმეს. მერწმუნეთ, ამაზე დიდ სამსახურს ვერაფერს გაუწევთ ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს!

ახლა სათქმელი:

უკვე მერამდენედ, თითქოს ერთსა და იმავე წრეზე ვტრიალებდეთ, ქვეყანა დადგა მოჯადოებულ გზაჯვარედინთან, რომელსაც მასობრივ ფსიქოლოგიაზე აწყობილი ტექნოლოგიები ჩვენს შეჭირვებულ მოქალაქეს ისე წარმოუსახავენ, თითქოს ჩვენს სამშობლოს გარდაუვალი დაღუპვა ელოდება, თუ მაინცდამაინც მათს „სიბრძნეს“ არ გაითვალისწინებენ!

დიახ, ვერ ავიცერით, ვერ ვისწავლეთ მუხანათი **„ვი-რუსების“** ამოცნობა, ვერ შევითქვით იმ დროისთვის მაინც, როცა საერთო მტერი გვიტევს. ბრძენი საბა ქართველთა იმ თვისებაზე მოთქვამდა, მხოლოდ მტრის გამოჩენა გვაერთიანებსო. ახლა მტრის გამოჩენაც, მგონი, იმის ფიქრს გვიჩენს, მე დავასწრო მტერთან გარიგება, თორემ ვაითუ, „მოწინააღმდეგე“ მოყვასმა მაჯობოსო... ერთმანეთი უფრო გვძულს, ვიდრე ნებისმიერი სტუმარი და გამვლელ-გამომვლელი... არა, ეს ძვირფასი თვისება ჩვენი სიმდიდრეა, ყველა უნდა გვიყვარდეს, მაგრამ ერთმანეთი რატომ უნდა გვძულდეს, ეს არის გაუგებარი!

იმიტომ, რომ მთელი სინამდვილე თავდაყირა არის დაყენებული. ჩვენი დროის მთელი უბედურება ის არის, რომ მოძალადე კანონიერებას გვიქადაგებს, ხოლო რუსულ საფრთხეებზე ის გვიკიჟინებს, ვინც ქვეყნის ინტერესები გაყიდა და ტერიტორიები რუსეთს ჩააბარა. რამდენად დიდია რუსული საფრთხე, აგერ, დღესაც გამოჩნდა, როდესაც თავისი ხელი არათუ გორთან, თბილისის საარჩევნო შტაბებშიც მოაფათურა! და ამ პირობებში თურმე ისიც ვერ უნდა ვთქვათ, რომ ორჯონიკიძემ ქართული ტერიტორიები მეზობელ ქვეყანას გადასცა. თურმე ამას მოწინააღმდეგე გამოიყენებს! თუ შენ ვერ დააწესე შენს ქვეყანაში სამართალი და ომის წამგებს და ქვეყნის ინტერესების მოღალატეს პასუხი სათანადოდ არ აგებინე, ევროპას რა სინდისით მოსთხოვ სამართალს!

ახლა ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთიც უნდა ვთქვა: მავანმა პოლიტიკოსმა წლების წინ მოსწრებულად თქვა: ჰიტლერს „რუსთავი-2“ რომ ჰქონოდა, ომის წაგება დღესაც არ ეცოდინებოდაო! მაგრამ რა: დღეს თვითონ არის ჰიტლერის როლში, ჩაჰბღაუჭებია ამ ტელევიზიის სვასტიკიან მიკროფონს და პირველობას ეცილება ფაშისტურ შეძახილებში... მე, როგორც ერთ რიგით მოქალაქეს, უაღრესად მაშფოთებს ის სიძულვილის ნარატივი, რომელიც ნიაღვრად მოდის ამ ნაცისტური ტელევიზიიდან და მისი პროფესიონალი ჟურნალისტები უკვე არა აღმაშფოთებელ, არამედ შესაბრალის მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან უკვე საბედისწეროდ გადასულან არათუ ეთიკის, ელემენტარული კეთილგონიერების ფარგლებს... მართლაც ერთი „რუსთავი-2“ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ, სადისტი ხელისუფლების მოცილების მიუხედავად, მოსახლეობის დიდ ნაწილს ახალი ისტერიული სინდრომის ეპიდემია მოსდებოდა და ორიენტირები დაეკარგა...

მეც, როგორც ერთ რიგით მოქალაქეს, ძილს არ მაძინებს იმის ფიქრი, რომ, თურმე, ჩვენს სამშობლოში, ჩვენ გვერდით არის ნახევარ მილიონზე მეტი გაბორტოტებული, რევანშის წყურვილით შეპყრობილი ადამიანი, რომელიც მზად არის, ნებისმიერს (თუნდაც ლავროვს) დაუჭიროს მხარი, ოღონდაც არსებულ ხელისუფლებას არა! ეს ბოღმა სოციალურ ძალლებში აღარ დაეტია და, ამ უთავბოლო დემოკრატიის პირობებში, მთელი ქვეყანა დაძალა და დაუხამა... იმდენად, რომ ევროსაბჭოც კი შეწუხდა, ზრდილობიანად გვითხრა დათა თუთაშხიას სიტყვები: რას ჰგავხართ, რას დაგამსგავსათ იმ მამაძაღლმა... სახრის მონატრებამ!..

უნიჭიერეს, უდროოდ წასულ მწერალს ჯემალ თოფურიძეს აქვს ერთი გულშიჩამწვდომი მოთხრობა: ერთ ახალგაზრდა ქალს სადისტი ქმარი ჰყავს, გვემს და ტანჯავს. ამ კაცს მალე ბედისწერამ უწია და მგლოვიარე ქალი დასტირის: მცემე, დამარტყი, თანახმა ვარო!

ნუთუ ასე მონატრებია ჩვენს ხალხს „მაგარი ხელი“ და ისიც – ცოცხალი მოძალადე – „შოფერივით“ ილანძღება და იმუქრება ყველა ქსელიდან და ხვრელიდან: – ე, მოიხედე აქეთ, გოგოო!!!

ჰიტლერს „რუსთავი-2“ რომ ჰქონოდა, ომის წაგება დღესაც არ ეცოდინებოდაო! მაგრამ რა: დღეს თვითონ არის ჰიტლერის როლში, ჩაჰბღაუჭებია ამ ტელევიზიის სვასტიკიან მიკროფონს და პირველობას ეცილება ფაშისტურ შეძახილებში... მე, როგორც ერთ რიგით მოქალაქეს, უაღრესად მაშფოთებს ის სიძულვილის ნარატივი, რომელიც ნიაღვრად მოდის ამ ნაცისტური ტელევიზიიდან და მისი პროფესიონალი ჟურნალისტები უკვე არა აღმაშფოთებელ, არამედ შესაბრალის მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან უკვე საბედისწეროდ გადასულან არათუ ეთიკის, ელემენტარული კეთილგონიერების ფარგლებს...

მეორე მხრივ, ხალხი უჩვეულო (უჩვეული) რეალობის წინაშე აღმოჩნდა: ხელისუფლების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა ლამის თვითგვემის მაგალითი გვიჩვენეს არჩევნების პირველი ტურის შემდეგ. ბევრმა ეს ხელისუფლების შიშად და დაბეჩავებად აღიქვა. ჩვენ ხომ მიჩვეული ვიყავით იმ ვითარებას, როცა ხელისუფლება აქეთ დაგდებდა ბრალს და, თუ თავში ჩაჩაჩქუნებაზე მეტს გადარჩებოდი, მადლობა უნდა გეთქვა! არადა, ნორმა სწორედ ეს უნდა იყოს: ხელისუფლებას ჩვენ ვქირაობთ და მან დიახაც უნდა იკადროს თავის მართლებაც და ბოდიშიც!

თავის მართლება თავის მართლებად და, ობიექტურად რომ ვთქვათ, განა მართლა არა აქვს „ქართულ ოცნებას“ წარმოსაჩენი საქმენი. მე მათ ადვოკატობას არ ვაპირებ, მაგრამ დამშვიდებით რომ დავსხდეთ და კარგად შევადაროთ, რამდენ უპირატესობას ვუპოვით ამ ხელისუფლებას ადამიანის, მოქალაქის სასარგებლოდ.

მაგრამ – არა, სწორედ ამაში არ უნდა დავეთანხმო ხელისუფლებას: კოჰაბიტაცია ერთადერთი სწორი ნაბიჯი იყო!

მე არ ვიცი, ბიძინა ივანიშვილის ნება იყო ეს თუ გარედან იყო თავს მოხვეული, მაგრამ ეს ერთადერთი ბრძნული გადაწყვეტილება გახლდათ.

ეს რომ არა, ჩვენ ხომ ახალი „ნაცები“ (ეს ტერმინი უკვე იძცა მოძალადის ზოგად ცნებად) გავხდებოდით, ახალი რევანშისტები და მოძალადეები.

განა ჩვენ იმიტომ დავტოვეთ დედაუნივერსიტეტი, რომ შემდეგ, როცა საჭირო ამინდი დადგებოდა, სამაგიერო გადაგვეხადა ჩვენი ცდომილი კოლეგებისათვის, ჩვენც ახალი დროის „ქილილა და დამანას“ ტურებად ვქცეულიყავით! ჩვენ ხომ ქვეყნის მომავლის გუმანით ვდგამდით იმ „ბარიკადებს“ მოძალადეთა პირისპირ უნივერსიტეტის დაცვის დროსაც, 2007-ის ნოემბრის დღეებშიც... და სწორედ იმათ, ვინც იმ ცხრა წლის ჯოჯოხეთი გამოიარა, უნდა ვაჩვენოთ, რომ „ეცადნენ და ვერ გაგვხადეს ბოროტი, ეცადნენ და ვერ გაგვხადეს ფლიდი!..“

მერაბ კოსტავა გვასწავლიდა: გიყვარდეთ ეროვნული მოძრაობა თქვენს თავში და არა – საკუთარი თავი ეროვნულ მოძრაობაშიო!

ეს არის „ნაცების“ მთავარი უბედურება: საკუთარ თავს ხედავენ ქვეყნის ბედნიერებაშიც და უბედურებაშიც, საკუთარი თავის გარდა, მათ „სამშობლო“ არა აქვთ... და ჩვენ ამაში მათ ვერ დავემსგავსებით.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ვართ თორნიკე ერისთავის, ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის, „ვეფხისტყაოსნის“ მორალის ერი: „ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავაგვანე...“

ამიტომაც ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯი ეროვნული შერიგებისაკენ მტკივნეული, მაგრამ ბრძნული ნაბიჯი იყო.

მაგრამ არის ერთი „მაგრამ“.

ისტორიამ, ფოლკლორმა, ლიტერატურამ არაერთი ჭკუისსასწავლებელი მაგალითი იცის იმისა, როცა დამნდობი და შემწყნარებელი მსხვერპლი ხდება თავისი დიდსულოვანი ნაბიჯისა!

როდესაც ადამიანი ღირსეულ, კეთილშობილ ნაბიჯს დგამს, როგორც ჩანს, უნდა დარწმუნებული იყოს, რომ საპირისპირო მხარესაც ასეთივე ღირსება დგას.

მაგრამ ვინ მოგვაშავა ასეთი არჩევანი?!

ასე დაგვემართა ჩვენ ყველას და ასე დაემართა, უპირველესად, ბიძინა ივანიშვილს.

ამ გადასახედიდან, განა არ ერჩივნა მას, ყოფილიყო უჩინარი ქველმოქმედის პოზიციაში და არ გარეულიყო საზოგადოებრივ პროცესებში, პოლიტიკაში, რომელთაც (საქართველოში მაინც განსაკუთრებულად) მხოლოდ ტკივილი და წყენა მოაქვთ.

მაინც რატომ გადადგა ეს ნაბიჯი მაინცდამაინც 2011 წელს? თუ მანამდე შეუცდომლად მოქმედებდა, რაღა ამ წელს უმტყუნა ჭკუამ?

ნუთუ დანახვის მადლიც წაგვერთვა?!

სალომე ზურაბიშვილი არის ქალბატონი და საქართველო კიდევ ერთხელ აჩვენებს ევროპას, რომ საქართველო ისევ იმ მოწინავე პრინციპით ცხოვრობს: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“... ხოლო ქალბატონისადმი უღირსად მოპყრობა ქართული კი არა, რუსული პოლიტიკისა და პიარტექნოლოგიის სამარცხვინო დამღაა!

ამ ნაბიჯის, პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის მიზეზი ხომ ერთადერთი - ქვეყნის გადარჩენის მიზანი იყო.

ნუთუ ვინმეს ეპარება ეჭვი ამაში: რომ არა 2012 წელი, ჩვენი ძვეყანა საბოლოოდ იძნებოდა დაღუპული.

მაგრამ რა ვუყოთ იმ ნახევარ მილიონ „შავ“ ხმას?

კვლავაც მოთმინებით და სიკეთით უნდა შევძლოთ დაკარგული მოყვასის პოვნა, სიძულვილს მიცემული ჩვენი და-ძმების „მოქრისტიანება“.

და, აი, აქ მივადექით უმთავრეს რეპლიკას ხელისუფლების მისამართით:

ბატონებო, კოჰაბიტაციაში კი არა, საქმე სამართალშია. ქართველ კაცს უთქვამს: სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო! ამაში ჩანს ქართველი კაცის ბუნება და უპირველესად, ამას ითხოვს ის ხელისუფლებისგან: მოძალადეს ნუ დაიცავ და კანონით გამათანაბრე და არა უკანონობითო.

ამიტომაც არ გამოდის ჩვენი დემოკრატია — ეს საუკეთესო ფორმა საზოგადოების მოწყობისა. დემოკრატია სიკეთეა, თუ მას საპირწონედ კანონ-სამართალი მოჰყვება, მაგრამ უბედურებაა, თუ ეს კანონი ხეიბარია. დემოკრატია მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო ძლიერდება და სამართლიანი ხდება სამართალი. სხვა შემთხვევაში კი ვიღებთ ისეთ ქართულ „კოჰაბიტაციას“, რომელსაც კი-ნაღამ კიდევ ერთხელ ვემსხვერპლეთ აგერ გუშინ!

ერთი საბედისწერო შეცდომა დაუშვა „ოცნების“ ხელისუფლებამ — ის, რომ მან სცადა, მოერგო თუ მორგებოდა სისტემას, რომელიც არა დემოკრატიისათვის, არამედ რეპრესიული მმართველობისათვის იყო შექმნილი.

სწორედ ეს ჩაკეტილი, საზოგადოებისაგან იზოლირებული სისტემა აღმოჩნდა ლამის დამღუპველი, ხელისუფლებას ვინ ჩივის, ჩვენი ქვეყნისათვის.

ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ მივწერე, დიდი პატივისცემის ნიშნად, იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს: სრულიად აშკარაა, რომ სისტემის კრიზისია და, დროზე თუ არ ეშველა, კარგს არას გვიძადისმეთძი.

მაგრამ ვის დაჰკარგვიხარ: მივედი სამინისტროში, რომელშიც გუზიც კი ვერ შეფრინდებაა! ნახევარ საათს ატარებდნენ წერილს. ამდენი დრო რას სჭირდებაა-მეთძი და - ელექტრონული რეგისტრაცია გვაძვსო!(?) (ამას იმიტომ ვაზუსტებ, რომ ეშმაკი დეტალებშია). შევიდა წერილი და პასუხს დღესაც ველოდები...

ეს არის სისტემის ქრონიკული სიმპტომები. ეს მანკი თვით ძალაუფლებით გონებაარეულმა სააკაშვილმაც კი შენიშნა 2007 წლის პერიპეტიების ფონზე: არ დავინახო, მინისტრმა მოქალაქეს ტელეფონზე არ უპასუხოსო! ცოტა ხანს მართლაც პასუხობდნენ, მაგრამ თავიანთი კეთილდღეობის გარანტ ტოტალიტარულ სისტემას თავადვე ხომ ვერ შეცვლიდნენ!

არ მესმის, ამ ხელისუფლებამ როგორ ვერ უნდა დაინახოს ეს ფუნდამენტური მიზეზი! თუ ზოგიერთმა ახლანდელმა ბიუროკრატმაც კარგად, მოხერხებულად მოირგო ეს სისტემა?!

* * *

მეორე — ისევ კვალიფიკაციისა და შეესაფერისობის პრობლემა.

ნათქვამია: წვეთი წვეთს დაერთო და ზღვა შექმნაო. ასე წვეთწვეთობით გროვდება ხოლმე უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ. საქართველოში, სადაც თვით სოფლის მეურნეც კი ბუნებით ინტელიგენტია, როგორ უნდა იფიქროს ხელისუფლებამ, რომ ნებისმიერ „მენეჯერს“ შეიძლება მიანდოს მინისტრის საკარძელი. განსაკუთრებით ეს ითქმის განათლებისა და კულტურის სფეროების შესახებ. დიახ, მინისტრი პოლიტიკური თანამდებობაა და თუკი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი პოლიტიკური ფიგურა უნდა იყოს საერთაშორისო მასშტაბით, განათლებისა და კულტურის მინისტრი ასეთივე პოლიტიკური (დიახ!) ფიგურა უნდა იყოს ქვეყნის მასშტაბით. რატომ უნდა გეგონოს, რომ ამ თავმოყვარე ქართველ ინტელიგენციას (პედაგოგებს, მეცნიერებს, შემოქმედ ხალხს...) შეიძლება ისეთი მინისტრი დაასვა თავზე, როგორიც ჯეჯელავა იყო?!

და ეს ჯეჯელავა ხომ პრემიერ კვირიკაშვილის შედეგრი იყო.

და რამდენი ასეთი შედეგრით „გაამდიდრა“ თავისი არცთუ ხანგრძლივი მმართველობის ხანაში კვირიკაშვილმა „ქართული ოცნების“ ავტორიტეტი: პრეზიდენტთან კოჰაბიტაცია, ნაცებთან კოჰაბიტაცია, რუსთაველის იუბილე, სახელმწიფო ენის კანონის რეალიზაცია, „წიწამურელების“ დესანტის დემონსტრაციული წამოწევა პოლიტიკურ არენაზე, ციანიდის ნაღმის აფეთქება დედაეკლესიის წიაღში...

თითოეული ამ პრობლემის უკან დგას ქვეყნის გულშემატკივარი საკმაოდ სოლიდური საზოგადოება, რომელიც ხელისუფლებისაგან, მინიმუმ, ნათელ პასუხს ელოდება და, როცა უგულებელყოფენ მის ლეგიტიმურ მოლოდინს, შესაფერისი ფორმით მოითხოვს კიდეც ამ პასუხს!

რად უნდა გვიკვირდეს, თუ გაბრაზებული თუ გაბუტული ამომრჩეველი — ძვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი! — არჩევნებს განზე გაუდგა.

ეს ხალხი „ძართული ოცნების“ ელექტორატია, რომელმაც ამ ფორმით გააგონა ბეტონის კედლებით გამომიჯნულ ხელისუფალთ, რომ მეტ უგულებელყოფას აღარ მოითმენს.

დარწმუნებული ვარ, ეს ხალხი ამჯერად უკვე საარჩევნო აქტიურობით დაამტკიცებს ძვეყნისადმი ერთგულებას.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა ასარჩევი კანდიდატურის შესახებ!

შექმნილი ვითარების ჯიბრზე არ ვამბობ: სალომე ზურაბიშვილი დიახაც ერთ-ერთი გამორჩეული კანდიდატურაა.

ჯერ ერთი, იგი გამოკვეთილი პოლიტიკური ფიგურაა და, სხვებისაგან განსხვავებით, ნულიდან არ მოუწევს საკუთარი ოფიციალური რენომეს შექმნა. იგი არის გამოცდილი დიპლომატი, რომელსაც არა მხოლოდ საქართველოს უახლესი ისტორიის არენაზე, არამედ მოწინავე ევროპული სახელმწიფოების სივრცეში წარმოუჩენია ეს შესაძლებლობები.

მეორე: იგი არა მხოლოდ დამოუკიდებელი კანდიდატი, არამედ ძლიერი დამოუკიდებელი პიროვნებაა და იგი ნაკლებ იქნება ცალკეული პარტიული ინტერესების „გადასაადგილებელი“ ფიგურა. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ახლანდელი კონსტიტუციის პირობებში: მას შესწევს უნარი, საჭირო შემთხვევაში თვით მმართველი პარტიისა და მისი ლიდერების ნებასაც არ დაჰყვეს.

მესამე: იგი არის პიროვნება, რომელსაც საკმაოდ მტკიცე ხასიათი და ჩამოყალიბებული შეხედულებები აქვს და ადვილად ვერ შეარყევ. აშკარაა: მან მეტად ღირსეულად წარმოაჩინა თავი ამ ყოვლად სამარცხვინო თავდასხმების დროსაც.

მეოთხე: იგი არის ევროპულად ჩამოყალიბებული, შინაგანად თავისუფალი ადამიანი, ვინც, ამავე დროს, საუკეთესოდ წარმოაჩენს საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის საუკეთესო თვისებებს: ქვეყნის ერთგულებას, ენისა და კულტურის სიყვარულს... პირადად ჩემთვის მისი ქართული, ასე სათაკილოდ გატრიზავებული ბაზარ-მოქართულეთა მიერ, იმ ღირსეული ემიგრაციის მეტყველების ფერისა და სურნელის შენახვა და ჩვენამდე მოტანაა.

* * *

და აქ ერთი რეპლიკაც:

ძალზე შემაშფოთებელი სიმპტომია ჩვენი ეროვნული მეხსიერების ასე კატასტროფული დაქვეითება. არ ვიცი, რამ გამოიწვია ეს — დიდად შეჭირვებულმა ათწლეულებმა თუ ტვინების გამორეცხვის იმ ტექნოლოგიებმა, რომლებიც დღედაღამ გვიტევენ ცალკეული ტელევიზიებიდან თუ სოციალური ქსელებიდან. ფაქტი ის არის, რომ ბევრი რამ დაგვივიწყებია არათუ ისტორიული წარსულიდან, არამედ ჩვენი გუშინდელი თუ გუშინწინდელი ცხოვრებიდან. როცა ქალბატონ სალომეს საფრანგეთში ცხოვრების პერიოდში საქართველოს ინტერესებისაგან შორს ყოფნას უსაყვედურებენ, რატომ არავის გაახსენდა, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ქალბატონი სალომე და მისი მეუღლე — შესანიშნავი ქართველი მწერალი და მოაზროვნე ჯანრი კაშია, ევროპაში ქართული კულტურის ნამდვილი დესპანები იყვნენ; იმათ მაინც რად არ ახსოვთ, ვისთვისაც ასეთი „კულტურული ხელი“ გაუწვდიათ? ღმერთი, რჯული, პირადი „დავალებულობის“ გამო არ გამიხსენებია ეს ყველაფერი. უბრალოდ, მიკვირს, ნუთუ მადლიერების მადლიც წაგვართვა ყველაფრის გაპოლიტიკებამ და გაშარაგზავებამ?!

დაბოლოს: სალომე ზურაბიშვილი არის ქალბატონი და საქართველო კიდევ ერთხელ აჩვენებს ევროპას, რომ საქართველო ისევ იმ მოწინავე პრინციპით ცხოვრობს: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“... ხოლო ქალბატონისადმი უღირსად მოპყრობა ქართული კი არა, რუსული პოლიტიკისა და პიარტექნოლოგიის სამარცხვინო დამღაა!

დიახ, არჩევანი ნათელია:

მტრის არგასახარად და ურთიერთნდობით მხარი უნდა დავუჭიროთ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს!

ჭავჭავაძის გამზირი მწვანეში ჩაეფლობა

კამპანიის — „გაუფრთხილდი ქალაქს — გაამწვანე თბილისი“ ფარგლებში, ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზირზე არსებულ თარგებში მასშტაბური სამუშაოები ჩატარდა. გამწვანების აქციაში მონაწილეობა თბილისის მერმა კახა კალაძემ, მოქალაქეებთან და საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებთან ერთად მიიღო.

ტერიტორიაზე, რომლის ფართობიც 6 000 კვადრატული მეტრია, სხვადასხვა სახეობის 2500-მდე ბუჩქი (კვიდო, უთხოვარი, ფიტოსპორუმი, ფოტინია, წყავი, ბზა, ჭყორი) დაირგო, მოწესრიგდა სარწყავი სისტემა. გამწვანების თარგებზე ასევე, რულონური ბალახის საფარი დაიგება. აღნიშნული თარგების მოწესრიგება რამდენიმე წელია, არ განხორციელებულა.

„ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია — „გაამწვანე თბილისი“, რომლის ფარგლებში, ქალაქში ხე-მცენარეები ირგვება. ეს ერთჯერადი ღონისძიება არ იქნება. გაზაფხულზე აქცია მთელი ქალაქის მასშტაბით განხორციელდება. ყველაზე მეტად რაც გვჭირდება, ეს არის პარკები, სკვერები, ახალი საქალაქო პარკების შექმნა. რა თქმა უნდა, მწვანე სივრცეები ზოგადად, ალამაზებს ქალაქს და ხელს უწყობს ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებას. მსგავსი ტიპის სამუშაოები, რომელიც მომავალში მოგვცემს შედეგს და ჩვენი ქალაქი ყველაზე ლამაზი, მოწესრიგებული და ეკოლოგიურად სუფთა იქნება, ძალიან მნიშვნელოვანია“, — განაცხადა თბილისის მერმა.

ქობულეთის სოფლებში გაზიფიცირების პროცესი გრძელდება

ქობულეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის მიმართულებით გაზის მილების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. გაზიფიცირება დასრულდა სოფელ გვარასა და ქვედა კონდიდში.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ მუნიციპალიტეტის გამგებელთან მირიან ქათამაძესთან და კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზის“ გენერალურ დირექტორ ვახტანგ ბერიაშვილთან ერთად სოფელ გვარაში ერთ-ერთ ოჯახში გაზის ანთების სიმბოლურ ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.

სოფელ გვარაში გაზიფიცირების დაქსელვის პროექტის სამუშაოები 2017 წლის სექტემბერში დაიწყო. აიგო 23 კმ სიგრძის გაზსადენი. აღნიშნული პროექტისთვის 1 მილიონი ლარი დაიხარჯა. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში მცხოვრებ 316 და სოფელ ქვედა კონდიდში 135 აბონენტს მიეცა ქსელში ჩართვის შესაძლებლობა. ზედა და ქვედა კვირიკეს ბუნებრივი აირის გაზიფიცირების პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის ღირებულება 2 მილიონ ლარამდეა. ზედა და ქვედა კვირიკეში მცხოვრები 870 კომლის გაზიფიცირებისთვის 42 კმ გაზსადენის მილს გაიყვანენ. სამუშაოები მომავალი წლის მარტის ბოლოსთვის დასრულდება. ამ ეტაპზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მთლიანობაში 12 500 ათასამდე აბონენტია ჩართული.

სააკაშვილმა საქართველო 2008 წლის ომამდე მიიყვანა და თავისი ქვეყანა სამ ნაწილად გაყო!

***თურქეთის** სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს „Anadolu Ajansi“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გაანალიზებულია „სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურად ყველაზე აქტიურ ქვეყანაში“ მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მეშვიდედ ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგები და დღევანდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონის გათვალისწინებით, მოცემულია სიტუაციის განვითარების პროგნოზები (ავტორი – გექთურქ თიუსუზოღლუ, თურქეთის გირესუნის უნივერსიტეტის პროფესორი).*

საინფორმაციო-შემეცნებითი პორტალი NSP.GE გვთავაზობს სტატიის მიმოხილვას ზოგიერთი ეპიზოდის თავისუფალი თარგმანით:

პუბლიკაციაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე არჩევნების წინ შექმნილ ვითარებას, საკონსტიტუციო ცვლილებებს, პრეზიდენტის როლს ქართულ სახელმწიფოში და აღნიშნულია, რომ **„ეს არჩევნები უკანასკნელია, როცა საქართველოს მოქალაქეები ქვეყნის მეთაურს პირდაპირი ხმის მიცემით ირჩევენ. ეს გარემოება ვნებათაღელვის ტემპერატურას გარკვეულწილად მაღლა წევს“**.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს პრეზიდენტობის ორი კანდიდატის ზურგს უკან მდგომი ფიგურების როლზე ქართულ პოლიტიკაში:

ბიძინა ივანიშვილი – „ყველაზე მდიდარი ქართველი“, რომელმაც ქონება რუსეთში საქმიანობის დროს დააგროვა. იგი ისეთი ლიდერია, რომელიც უპირატესობას უკანა პლანზე ყოფნას ამჯობინებს, თუმცა სწორედ მისი დამსახურებაა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მისმა ოპოზიციურმა კოალიციამ მმართველი პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ დაამარცხა, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრის პოსტი ჰქონდა დაკავებული. მოგვიანებით ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებას ჩამოშორდა და ჩრდილში გადავიდა, თუმცა, როგორც ამბობენ, ქვეყნის მთავრობაზე გარკვეულ გავლენას მაინც ახდენდა. მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი რუსეთთან ახლოს უნდა ყოფილიყო, იგი მოსკოვისაგან იმედგაცრუებული დარჩა, რადგან რუსეთი აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთს კვლავ დამოუკიდებლად აღიარებდა. „ამიტომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ახლო კავშირები დაამყარა ევროკავშირთან, მიიღო უვიზო რეჟიმი“, – აღნიშნავს ავტორი და ხაზს უსვამს – „მმართველი პარტიის ყველა წარმომადგენელი აცხადებს – თბილისის მთავარ მიზანს ევროატლანტიკური ინტეგრაცია და ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენს“. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილი და მისი თანამოაზრეები შედარებით ფრთხილად ეკიდებიან ნატოში გაწევრიანების საკითხს, მათ იცი-ან, თუ როგორ რეაგირებს ამ საკითხზე მოსკოვი და ამიტომ არ სურთ 2008 წლის აგვისტოს ომის გამეორება, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მოქმედებამ გამოიწვია. უნდა ითქვას, რომ ეს საკმაოდ პრაგმატული და დაბალანსებული მიდგომაა ქართულ პოლიტიკაში. ბიძინა ივანიშვილი და მისი პარტია „ქართული ოცნება“ მხარს უჭერს პრეზიდენტობის დამოუკიდებელ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს.

მიხეილ სააკაშვილი ყოფილი სახელისუფლებო პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაამაარსებელი და ხელმძღვანელია, რომელიც მხარს უჭერს კოალიცია „ძალა ერთობაშია“-ს (მასში „ნაცმოძრაობა“ დომინირებს) კანდიდატს გრიგოლ ვაშაძეს. მიხეილ სააკაშვილი ჰარვარდდამთავრებული დიპლომირებული იურისტია, დასავლური პოზიციით, იგი საქართველოს ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანების აქტიური მომხრეა, იმავდროულად კი ანტირუსული პოლიტიკით, ვლადიმერ პუტინის მიმართ კრიტიკით მან საქართველო 2008 წლის ომამდე მიიყვანა და თავისი ქვეყანა ფაქტიურად სამ ნაწილად გაყო. ამ ომის შემდეგ მიხეილ სააკაშვილს რეპუტაცია ძალიან შეელახა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, საერთაშორისო არენაზე. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში თავისი პარტიის დამარცხებისა და საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, 2013 წელს მიხეილ სააკაშვილმა საქართველო დატოვა. მოგვიანებით მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა“, – ნათქვამია სტატიაში, რომლის ავტორი ასევე აღწერს ექსპრეზიდენტის უკრაინულ ოდისეას, პეტრო პოროშენკოსთან მეგობრობასა და მტრობას.

„მას შემდეგ, რაც უკრაინიდან იქნა გაძევებული (ჰოლანდიაში მყოფმა) მიხეილ სააკაშვილმა იმედის მზერა კვლავ საქართველოს მიაპყრო და თავისი პარტიის – „ნაცმოძრაობის“ მოქმედების კოორდინირება დაიწყო. ექსპრეზიდენტს ამჟამად არცერთი ქვეყნის – არც საქართველოს და არც უკრაინის მოქალაქეობა არ აქვს. ამ ეტაპზე მისი მოქალაქეობის მიღების საკითხი საკმაოდ სადაოა და იურიდიულად გადაწყვეტილი არ არის, თუმცა იგი მაინც ცდილობს, საქართველოს პოლიტიკაზე გავლენა მოახდინოს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში სიტუაცია საინტერესო კონტექსტით განვითარდება. ისიც უნდა ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილის სახელი ამჟამად ძველებურად პოპულარული აღარ არის და უპირატესობით არ სარგებლობს არც ბრიუსელში და არც ვაშინგტონში – მისივე ამბიციური, გაუწონასწორებელი და არაპროგნოზირებადი ქცევის გამო“, – მიუთითებს ავტორი.

„ორი პოლიტიკოსი და მათი პარტიები საპრეზიდენტო არჩევნების დროს ერთმანეთს კიდევ ერთხელ შეეჯახნენ, თავიანთი კანდიდატების სახით.

სალომე ზურაბიშვილი თავის დროზე მიხეილ სააკაშვილის მთავრობის წევრი იყო და მათ შორის მასშტაბური დაპირისპირება მოხდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, სწორედ მიხეილ სააკაშვილის დამსახურებაა ის, რომ სალომე ზურაბიშვილი ქართულ პოლიტიკაში გამოჩნდა და ქვეყნის მოქალაქეობაც მიიღო“, – აღნიშნავს ავტორი და ყურადღებას საფრანგეთში დაბადებულ-გაზრდილი პრეზიდენტობის კანდიდატის ბიოგრაფიულ მომენტებზეც ამახვილებს. **„სალომე ზურაბიშვილს ევროკავშირიც უპირატესობას ანიჭებს, მისი ფრანგული და ევროპული დიპლომატიური კარიერის გამო“,** – ხაზს უსვამს თურქი პროფესორი და ფრანგი დიპლომატის ოპონენტს – საბჭოთა წარსულის მქონე დიპლომატის პოლიტიკურ პორტრეტსაც „ხატავს“:

„გრიგოლ ვაშაძესაც, თავისი მოწინააღმდეგის მსგავსად, დიპლომატის ბიოგრაფია აქვს – იგი საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, მოსკოვში, სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში მნიშვნელოვან თანამდებობებზე მუშაობდა. 1990-2008 წლებში მოსკოვსა და ნიუ-იორკს შორის მოძრაობდა, დაკავებული იყო კერძო ბიზნესით. როცა მიხეილ სააკაშვილმა გრიგოლ ვაშაძე საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა (პარლამენტის სპიკერად არჩეული დავით ბაქრაძის ნაცვლად), მას საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად, რუსეთის მოქალაქეობა შენარჩუნებული ჰქონდა. გრიგოლ ვაშაძე ყოველთვის გამოირჩეოდა „ნაცმოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილისადმი ლოიალური დამოკიდებულებით, იცავდა მათ ინტერესებს მაშინაც კი, როცა „ნაცმოძრაობას“ ზოგიერთი ლიდერი გამოეყო და ახალი პარტია შექმნა „ევროპული საქართველოს“ სახით.

სტატიის დასასრულ თურქი პროფესორი პროგნოზებს აკეთებს:

მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში გრიგოლ ვაშაძემ, თავის ოპონენტთან შედარებით, ხმების ნაკლები რაოდენობა მიიღო, მისი მიღწევა მაინც წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. სალომე ზურაბიშვილს მხარს ხელისუფლება უჭერდა და მაინც მხოლოდ 1%-ის სხვაობით გაიმარჯვა. დღეს მეორე ტურის წინ სიტუაცია ისეთია, რომ ამომრჩევლების უმრავლესობა თავიანთ პოზიციას მეორე ტურში ხმის მიცემის დროსაც დაახლოებით იმავენაირად დააფიქსირებენ. თუ გრიგოლ ვაშაძის მომხრეებს დაემატება დავით ბაქრაძის და კიდევ ერთი კანდიდატის – ლეიბორისტ შალვა ნათელაშვილის ხმები (მან მეოთხე ადგილი დაიკავა ხმების რაოდენობით), მაშინ, სავარაუდოდ, მეორე რაუნდში გრიგოლ ვაშაძე გაიმარჯვებს. და თუ მართლაც ასე მოხდება, საკვირველი არ იქნება, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება შეირყეს, მისი სიმტკიცე ეჭვქვეშ დადგეს და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს.

იმდენად, რამდენადაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩატარებული არჩევნები ხშირად პირადი ბრძოლის გამოვლინებადაც ითვლება, განსაკუთრებით დასავლეთისა და რუსეთის გეოპოლიტიკური დაპირისპირების ფონზე, ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. მართალია, ორივე კანდიდატი პროდასავლური ორიენტაციისაა, მაგრამ თითოეული მაინც თავიანთი ლიდერების – მიხეილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობის გასაგრძელებლად იბრძვიან. აშკარაა, არჩევნების შემდეგ ორი კანდიდატიდან პრეზიდენტი ვინც არ უნდა გახდეს, თბილისის პროდასავლური საგარეოპოლიტიკური კურსი არ შეიცვლება. თავის მხრივ, არც რუსეთი არ დათმობს აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს, ბალანსის შენარჩუნების მიზნით. ცხადია, საქართველო-თურქეთის კარგი ურთიერთობაც არ გაუარესდება, რადგან ანკარას მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს საქართველოსთან მიმართებით: დააკავშიროს თბილისი დასავლეთთან და უზრუნველყოს რუსეთის ზეწოლის შესუსტება.

„Anadolu Ajansi“ (თურქეთი)
http://nsp.ge/

2020 წელს ნასა მარსზე ახალ „როვერს“ გაგზავნის

2020 წლის ივლისში ნასა წითელი პლანეტის კვლევის ახალ ეტაპს იწყებს. ხუთწლიანი ძებნისა და 60 სხვადასხვა ადგილმდებარეობის განხილვის შემდეგ ნასა ახალ „როვერს“ მარსზე, „ჯეზერო კრატერ“-ზე გააგზავნის.



NASA-ს შემდეგი ნაბიჯი წითელი პლანეტის შესწავლაში 2020 წლის ივლისშია დაგეგმილი. მოწყობილობა ანტიკური სიცოცხლის ნიშნების გარდა, ნიადაგსა და კლდოვანი წარმონაქმნების ნიმუშებს შეინახავს. ეს სადესანტო მისია, მომდევნო ათწლეულის გეგმის ნაწილია და მარსის ზედაპირის კვლევის ახალ ეტაპებს განსაზღვრავს.

„ჯეზეროს კრატერში“ სადესანტო მისია გეოლოგიურად მდიდარ რელიეფს გამოიკვლევს. პროცესები, რომელიც 3.6 მილიარდი წლის განმავლობაში მიმდინარეობს, პლანეტარული ევოლუციისა და ასტროფიზიოლოგიის მნიშვნელოვან კითხვებს უპასუხებს“, – ამბობს NASA-ს სამეცნიერო მისიის ადმინისტრატორი თომას ზურბუჰენი.

„ჯეზერო კრატერი“ მდებარეობს „ისიდის პლანიტიას“ დასავლეთით, მარსის ეკვატორის ჩრდილოეთით. „ისიდისი“ წარმოადგენს მარსის უძველეს და ყველაზე საინტერესო სამეცნიერო ლანდშაფტს. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ 28-კილომეტრიანი კრატერი, რომელს ადგილს მილიარდობით წლის წინ, ტბა დელტა მდებარეობდა, წყლისა და ნალექების ნარჩენებიდან, შესაძლოა კვლავ ინარჩუნებდეს უძველეს ორგანულ მოლეკულებსა და მიკრობული ცხოვრების პოტენციურ ნიშნებს.

Jezero Crater-ის უძველესი ტბა- Delta უამრავ მასალას შეიცავს, მათ შორის თიხასა და კარბონატებს, რომელთაც აქვთ მაღალი პოტენციალი, შეინარჩუნონ წარსული ცხოვრების ანაბეჭდები. გარდა ამისა, წყალშემკრები აუზიდან მოპოვებული მასალა შეიძლება შეიცავდეს მრავალფეროვან მინერალებს როგორც კრატერის შიგნით, ასევე მის გარეთ.

„რობოტულ მეცნიერებაში არაფერი ყოფილა იმაზე რთული, ვიდრე მარსზე უსაფრთხოდ დაშვება, თუმცა ინჟინრების გუნდი ყველაფერს აკეთებს და კვლავაც გააგრძელებს მუშაობას, რომ ნასას 2020 წლის მარსის შესწავლის ახალი მისია წარმატების მაქსიმალური შანსებით დაგვირგვინდეს“ – განაცხადა ზურბუჰენიმ.

ნასა ახალ ხომალდს მარსის შესწავლის 2020 წლის მისიისთვის ფლორიდიდან Cape Canaveral საჰაერო ძალების სადგურიდან გაუშვებს.

მარსს ხელოვნურმა თანამგზავრმა პირველად 1965 წელს ჩაუფრინა. ეს იყო მარინერ I, 1971 წელს მარინერ IV გახდა მარსის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, ხოლო 1976 წელს ვიკინგ I პირველად დაეშვა მარსის ზედაპირზე. მას შემდეგ ამ პლანეტისკენ სხვადასხვა ქვეყნის მიერ 50-მდე მისია გაიგზავნა, საიდანაც წარმატებით მხოლოდ მესამედი დასრულდა.

nasa.gov

ახალი წიგნი ფრედი ვუდროფის მკვლელობაზე

1993 წლის 8 აგვისტოს საქართველოში გახმაურებული მკვლელობა მოხდა. მცხეთასთან, გზაზე მოკლეს აშშ-ის საელჩოს თანამშრომელი და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს CIA-ს წარმომადგენელი ფრედ რასელ ვუდროფი. ავტომანქანაში ვუდრაფთან ერთად იმყოფებოდნენ საქართველოს იმჟამინდელი სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელის ედუარდ შევარდნაძის დაცვის უფროსი ელდარ გოგოლაძე და ორი ქალი, რომელთაგან ერთი მოგვიანებით რუსეთის სამხედრო ჯაშუში აღმოჩნდა.

გამოძიების ოფიციალური ვერსიით, ვუდროფი იმსხვერპლა ბრმა ტყვიამ, რომელიც მის მანქანას სამხედროფორმიანმა პირმა ესროლა. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში დანაშაული და ძალადობა ფართოდაა გავრცელებული და CIA ქვეყანას ნარკოტიკების გადაზიდვის მნიშვნელოვან ტრანზიტად მიიჩნევს.

ვუდროფის მკვლელობის შემდეგ გვამის ამოსაცნობად საქართველოში ჩავიდა CIA-ს მაშინდელი ხელმძღვანელი ჯეიმს ვულსი. სასამართლო 1994 წელს გაიმართა და მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს ახალგაზრდა კაცი ანზორ შარმაიძე, რომელსაც თოთხმეტწლიანი პატიმრობა მიესაჯა.

კითხვები და ეჭვები

თუმცა მკვლელობის ეს ვერსია, ბევრთან ერთად, არ დაიჯერა ტეხასელმა ადვოკატმა და ვუდროფების ოჯახის მეგობარმა მაიკლ პულარამ, და სიმართლის დადგენა დაისახა მიზნად. შარმაიძის სასამართლოს საქმეების გაცნობისა და გამოძიების ფედერალური ბიუროდან თუ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოდან დოკუმენტების გამოთხოვის შემდეგ პულარა დარწმუნდა, რომ შარმაიძე უდანაშაულო იყო, ხოლო ვუდროფის მკვლელობის უკან სინამდვილეში რუსეთი იდგა.

მაიკლ პულარა რამდენჯერმე ჩავიდა თბილისში, მათ შორის 2005 წლის ნოემბერში, და მაშინდელ ხელისუფლებას ჩაუტანა მოკლულის ოჯახის წერილი, რომელიც შარმაიძის გათავისუფლების თხოვნას შეიცავდა. ვუდროფის ოჯახი ამბობდა, უდანაშაულო ადამიანის პატიმრობა გარდაცვლილის სულს ამძიმებსო.

„ამერიკულმა მხარემ ჩაატარა მრავალი და საკმაოდ ხანგრძლივი გამოძიება ამ მკვლელობასთან დაკავშირებით. წლების მანძილზე ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ ეს საქმე სამჯერ გამოიკვლია. გამოძიების დასკვნით, ის პიროვნება, ან პიროვნებები, რომელსაც შეეძლო ფრედ ვუდროფის მოკვლა, დადგენილი არ არის. მაგრამ, მეორე მხრივ, მათ დანამდვილებით მოიპოვეს საკმარისი მტკიცებულებები იმისა, რომ დანაშაული ანზორ შარმაიძეს არ ჩაუდენია“, — ამბობდა მაიკლ პულარა მაშინ, 2005 წელს. ადვოკატმა 2008 წელს მიზანს მიაღწია და შარმაიძე ციხიდან გაათავისუფლეს.



„ჯაშუში, რომელიც მიატოვეს“

თუკი სააგენტომ იცის, რომ ეიმსი ჯაშუშია და იცის, რომ ამგვარი კონფრონტაცია მოხდა და ისინი ვუდროფს არ იცავენ იმ ინფორმაციისგან, რომელიც მან, შესაძლოა, შეიტყო, ვფიქრობ, გარკვეული პასუხისმგებლობის საკითხი დგება — მაიკლ პულარა.

ახლახან გამოვიდა პულარას წიგნი ამ საქმის შესახებ, სათაურით „ჯაშუში, რომელიც მიატოვეს“. წიგნში ავტორი დეტალურად აღწერს მის მიერ ჩატარებულ გამოძიებას, რომელმაც ათწლეულები და ბევრი ქვეყანა მოიცვა და გამოდის ვარაუდით, რომ ვუდროფის მკვლელობა უკავშირდება CIA ვეტერან აგენტს ოლდრიჩ ეიმსს, რომელიც ვუდროფის მკვლელობიდან რამდენიმე თვეში საბჭოთა კავშირისთვის ჯაშუშობაში ცნეს დამნაშავედ.

ამ წიგნისა და ჩატარებული გამოძიების შესახებ პულარას ინტერვიუ ჩამოართვა ჟურნალმა „ნიუსვიკმა“. ინტერვიუ 13 ნოემბერს გამოქვეყნდა. საუბარში პულარა ამბობს, რომ ამ ახალი წიგნის გაყიდვის მეწილედ ანზორ შარმაიძე დაასახელა — მსურდა მას დამსახურებული ანაზღაურება მიეღო საკუთარი გამოცდილების გაზიარებისთვისო.

ინტერვიუში პულარა კრიტიკულ შეხედულებებს გამოთქვამს ნაბიჯებზე, რომლებიც CIA-მ გადადგა ვუდროფის მკვლელობის წინა პერიოდში. ის ადასტურებს, რომ დიდ პატივს სცემს როგორც CIA-ს, ისე FBI-ს მუშაობას, თუმცა იქვე ამბობს, რომ ოლდრიჩ ეიმსის საქართველოში გაგზავნის მომენტში საგენტომაც და ბიურომაც უკვე იცოდნენ, რომ ის ჯაშუში იყო. **„მათ უკვე გაჩხრეკილი ჰქონდათ მისი სახლი და ოფისი, უკვე დაყენებული ჰქონდათ აუდიო და ვიდეოთვალთვალის აპარატურა და მას უკვე 24 საათის განმავლობაში უთვალთვალებდნენ“,** — ამბობს პულარა და დასძენს, რომ ეიმსის წინააღმდეგ გამოძიება უკვე თითქმის დასრულებული იყო, მაგრამ ეიმსს არ აპატიმრებდნენ, ჯერ მხოლოდ უთვალთვალებდნენ, რადგან, პულარას ვერსიით, მის მოქმედებას სხვა ჯაშუშების გამოაშკარავება შეეძლო.

* * *

ცნობილია, რომ თბილისის ერთერთ ბარში ვუდროფსა და ეიმსს შორის მწვავე შელაპარაკება მოხდა. **„არავინ იცის, კონკრეტულად რაზე იჩხუბეს, მაგრამ კონტექსტი გვიკარნახებს, რომ იმ ღამით ეიმსი დათვრა და რაღაც ისეთი თქვა, რამაც ვუდროფში ეჭვი აღძრაო“,** ეუბნება პულარა „ნიუსვიკს“ და იქვე გამოყოფს, მისი აზრით, მთავარ პრობლემას: **„თუკი სააგენტომ იცის, რომ ეიმსი ჯაშუშია და იცის, რომ ამგვარი კონფრონტაცია მოხდა და ისინი ვუდროფს არ იცავენ იმ ინფორმაციისგან, რომელიც მან, შესაძლოა, შეიტყო, ვფიქრობ, გარკვეული პასუხისმგებლობის საკითხი დგება“.**

პულარა მიიჩნევს, რომ სააგენტოს არ აღმოაჩნდა ვუდროფის დასაცავი გეგმა მას შემდეგ, რაც ვუდროფი უკვე ცნობილ მოღალატეს შეხვდა, და, მისი აზრით, სწორედ ამ გეგმის უქონლობამ გაზარდა ვუდროფისთვის საფრთხე, შემდეგ კი CIA-ს მკვლელობის საქმის დაფარვისკენაც ამან უბიძგა.

ამ ვარაუდის საფუძვლად მას ის გარემოება მოაქვს, რომ თუკი ეიმსს ვუდროფთან საკუთარი ჯაშუშობის შესახებ რაღაც მართლაც წამოსცდა იმ ღამით ბარში, მას საკუთარი შეცდომა აუცილებლად ეცოდინებოდა. პულარა თვლის, რომ ეიმსი, ლოგიკურად, რუს მოკავშირეებს დაუკავშირდებოდა, რომლებმაც, ეიმსის საზღვარზე გადაყვანისა და რუსეთში ჩაყვანის ნაცვლად, მისი დაცვა ვუდროფის მოკვლით განიზრახეს.

იხ. 11 გვ.

განცხადება

შპს „ხელედულა ენერჯი“-ს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილი აქვს მდ. ხელედულას და მდ. დევაშის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე 51,3 მგვტ დადგმული სიმძლავრის, „ხელედულა 3“ ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

2018 წლის სექტემბრიდან თვიდან კომპანიის ვებგვერდზე და თბილისის, ლენტეხის და ხელედის ოფისებში გამოქვეყნებულია პროექტი და ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები:

- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომელზედაც 2017 წლის ივლისშია გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება;
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დამატებითი შეფასება, რომლის მომზადებაც რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის (EBRD) მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით მოხდა;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა;
- გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა;
- არატექნიკური რეზიუმე.

აღნიშნული ანგარიშების საჯარო განხილვები გაიმართება 2018 წლის 7, 8 და 9 დეკემბერს, შემდეგი განრიგით:

- საჯარო განხილვა თბილისში მცხოვრები ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის (პრიორიტეტი მიენიჭება მაცხოვრებლებს, თუმცა შეხვედრაში სხვა დაინტერესებულ მხარეებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება) ჩატარდება 2018 წლის 7 დეკემბერს 10:00 საათზე - ქ. თბილისში, სასტუმრო თბილისი მარიოტის შენობაში, თამარ მეფის დარბაზში (მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №13);
- საჯარო განხილვები ყველა დაინტერესებული მხარისთვის: 2018 წლის 7 დეკემბერს 13:00 საათზე - ქ. თბილისში, სასტუმრო თბილისი მარიოტის შენობაში, თამარ მეფის დარბაზში (მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №13).
- ღია კარის შეხვედრები საპროექტო ტერიტორიაზე მცხოვრები ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან (პრიორიტეტი მიენიჭება მაცხოვრებლებს, თუმცა შეხვედრაში სხვა დაინტერესებულ მხარეებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება). მოსახლეობას მთელი დღის განმავლობაში გაესაუბრებიან პროექტის ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ექსპერტები, და ყველა შეკითხვას უპასუხებენ. მოქალაქეებს საშუალება ექნებათ სამუშაო საათებში ნებისმიერ დროს მობრძანდნენ და გაესაუბრონ ექსპერტებს. თბილისის მსგავსი პრეზენტაცია გაიმართება ყველა ადგილმდებარეობაზე, დილის 10 საათზე:
  - o 2018 წლის 8 დეკემბერს ღია კარის შეხვედრა დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე, 10 საათზე პროექტის წარდგენა - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქუჩა N24);
  - o **2018 წლის 9 დეკემბერს ღია კარის შეხვედრა დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე, 10 საათზე პროექტის წარდგენა - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ხელედის თემის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხელედი).**

შპს „ხელედულა ენერჯი“-ს ადმინისტრაცია

APPLICATION

The “Kheledula Energy” LLC is planning to develop a project on construction and operation of 51.3 MW HPP which will work as runo–of-river on Kheledula and Devashi rivers, and will be located on the territory of Lentekhi municipality.

The Project has been disclosing since September 2018 on its website and in Tbilisi, Lentekhi and Kheledi offices the following documentation:

- **the Environmental and Social Impact Assessment permitted in July 2017**
- **a Supplementary Environmental and Social Assessment, prepared for the Project to meet EBRD Performance Requirements,**
- **a Stakeholder Engagement Plan**
- **an Environmental and Social Action Plan**
- **a Non-Technical Summary**

Public discussion of these reports for Kheledula 3 HPP construction and operation project will be held on December 7, 2018. The meetings will be held in the following places:

- **Public meeting for Lentekhi Municipality citizen living in Tbilisi (other stakeholders can witness these meetings, but residents have a priority to discuss with the Project):**
  - **o December 7, 2018 public meeting at 10:00 o’clock, Tbilisi, building of Tbilisi Marriott Hotel, Queen Tamar Meeting Room. (Address: Tbilisi, Rustaveli Ave #13);**
- **Open-house meetings for Lentekhi Municipality citizen living in the Project area (other stakeholders can witness these meetings, but residents have a priority to discuss with the Project). The Project’s technical, environmental and social experts will be available during the whole day to discuss with citizen and answer questions. Citizen can come at any time during the opening hours and discuss with the experts. The same presentation as in Tbilisi will be made in each location at 10am:**
  - **o December 8, 2018 open house meeting from 9 am to 7pm, with a presentation of the Project at 10am, administration building of Lentekhi municipality City Hall (Address: Lentekhi, Tamar Mepe street #24);**
  - **o December 9, 2018 open house meeting from 9 am to 7pm, with a presentation of the Project at 10am, Administration building of Kheledi community, Lentekhi Minucipality (Address: Lentekhi municipality, Kheledi village);**
- **Public meetings for all interested stakeholders:**
  - **o December 7, 2018, public meeting at 13:00 o’clock, Tbilisi, building of Tbilisi Marriott Hotel, Queen Tamar Meeting Room. (Address: Tbilisi, Rustaveli Ave #13);**

ADMINISTRATION OF “KHELEDULA ENERGY” LLC

◎ წინ, საქართველოვ!

ოქროსფერი შემოდგომა

ქართველი ძიუდოისტი ზვიად გოგოჭური (100 კგ) პორტუგალიურ ოდიველასში გამართული მხედველობადაქვეითებულთა მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა.

მან ოქროს მედლისკენ მიმავალ გზაზე ოთხივე მეტოქეს ვადაზე ადრე აჯობა. ჩვენებური ფინალში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელ სამუელ ინგრამს შეხვდა და 3 შიდო მიაღებინა.

ამავე ტურნირზე ბრინჯაოს მფლობელი გახდა გიორგი გამჯაშვილი (66 კგ); ბაჩუკი შელია (73 კგ), ავთანდილ კირკიტაძე (81 კგ) და რევაზ ჩიკოიძე (+100 კგ) კი უმედლოდ დარჩნენ.

ბეჟან დოლიძე

◎ სუმო

სამი მოგებაც და...

ტოჩინოშინის შიკონათი ცნობილმა ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ ფუკუოკაში მიმდინარე წლის დასკვნით სუპერტურნირზე გუშინ მე-5 გამარჯვება იზეიმა და 10 დღის შემდეგ თანაბარ ბალანსზე გავიდა.



ამჯერად ქართველი სეკიტორის მეტოქე დასავლეთის პირველი სეკივაკე იჩინოჯო გახლდათ და მონღოლ გოლიათთან (183 კგ.) ჭიდილი იოლი ნამდვილად არ ყოფილა. მეტოქემ ჩვენებური დოჰიოს კიდესთან 2-ჯერ მიიმწყვდია, თუმცა, ლევანმა თავის დაძვრენა მოახერხა, იჩინოჯოს მავაში ხელთ იგდო და იორიკირი განახორციელა. კიუშიუ ბაშოს დასრულებამდე 5 დღეა დარჩენილი და იოლი გამოსათვლელია, რომ ტოჩინოშინს დადებითი ბალანსის (კაჩი-კოში) დასაფიქსირებლად მინიმუმ 3 ორთაბრძოლის მოგება სჭირდება.

ქართველი სუმოისტის დღევანდელი მოწინააღმდეგე აღმოსავლეთის მე-5 მაეგაშირა ჩიიოტაირიუ იქნება, რომელსაც ზურგს ასევე 5 მოგება უმაგრებს, ურთიერთშეხვედრებში კი გორგაძის უპირატესობა აშკარაა — 5:2-ზე.

ამ დროისთვის ნოემბრის ბაშოზე იმპერატორის თასის მოგების საუკეთესო შანსს აღმოსავლეთის პირველი კომუსუბი ტაკაკეიშო ინარჩუნებს, რომელმაც გუშინ მე-9 გამარჯვება იზეიმა. 8-8 მოგება აქვთ ოძეკი ტაკაიასუსა და რიგით მაეგაშირებს — დაეიშოს, აოიამასა და ონოშოს, ხოლო კიდევ ერთმა ოძეკი გოეიდომ მე-7 წარმატებული ორთაბრძოლა ჩაატარა.

შეგახსენებთ, რომ ფუკუოკაში რანგით მე-3 დივიზიონ მაკუშიტაში უწევს გარჯა თეიმურაზ ჯუღელს, იგივე გაგამარუს, რომელსაც პირველი განთესვა გააჩნია.

ქართველ გოლიათს 3 მოგება და 2 მარცხი მოუგროვდა და ვინაიდან აღნიშნულ დონეზე სუმოისტებს 7 შერკინების ჩატარება უწევთ, მე-2 დივიზიონ ჯურიოში დასაბრუნებლად ჩვენებურს 2 დარჩენილი ბრძოლიდან ერთის მოგებაც ეყოფა.

დღეს ერთი დღით გაგამარუ სწორედ ჯურიოში გაირჯება, მეტოქედ კი დასავლეთის მე-13 რეიტინგის მქონე გოკუშინდო ეყოლება, რომელსაც კარიერაში პირველად გაეჯიბრება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კრივი

მედალოსანთა ტრიო

ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდში გამართულ ევროკავშირის ჩემპიონატზე სახილ ალახვერდოვმა (49 კგ, „ვერცხლი“), ნოდარ დარბაიძემ (52კგ, „ბრინჯაო“) და არტიუშ გომციანმა(56კგ, „ბრინჯაო“) საქართველოს ნაკრებს სამი მედალი მოუტანეს.

აღსანიშნავია, რომ ექიმებმა ალახვერდოვს ფინალში რინგზე გასვლა ტრავმის გამო აუკრძალეს.

ბადრი იაშვილი

◎ ინტერნეტიდან

ტერეზას მალაყები

კანადაში მოღვაწე წარმოშობით იტალიელი მოდელი ტერეზა ლონგო შეიძლება სხვათა მსგავსად დიდი კარიერული მალაყებით ვერ გამოირჩევა, მაგრამ მალაყები მან სულ სხვა ამბებში იცის და როგორც ამ საქმის სპეციალისტები ამბობენ, მისი მალაყების საცქერლად „ტყიდან მხეცნი მოვიდიანო“.

კარგად თუკი დააკვირდებით ამ მრავლისმახველი ქალის გარეგნულ შტრიხებს, მერე უკვე აღარ გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ ახალგაზრდობაში იგი სპორტის ისეთი არაქალური სახეობით იყო დაკავებული, როგორიც ძალოსნობაა და მძიმე საგნების აწევ-დაწევა პრინციპში არც ახლა უჭირს და ეზარება.

სხვათა შორის, ტერეზა ლონგომ რამდენიმე წლის წინათ ბედი კინემატოგრაფიაშიც სცადა, მაგრამ მერე კინოს ბოსებმა უთხრეს — მოგვიტევეთ, მაგრამ ქალი კასკადიორების ადგილი უკვე დაკავებული გვაქვს, თქვენი ტელეფონის ნომერი დაგვიტოვეთ და თუ რამეა, დედას გეფიცებით, დაგირეკავთო.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ერთა ლიგა

გზაჯვარედინზე

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ერთა ლიგის პირველი გათამაშების გამარჯვებულია, რასაც გულწრფელად ვულოცავთ.

მერე რა, რომ ამ წარმატებას „დ“ კალათაში მივაღწიეთ — ამით ხომ ერთი საფეხურით დავწინაურდით და, რაც მთავარია, „ევრო-2020“-ის ფინალურ რაუნდს ხელის გაწვდენამდე მივუახლოვდით. საამისოდ, ანუ ჯერაც აუხდენელი ოცნების ასრულებამდე ორიოდე ნაბიჯიღა დარჩა გადასადგმელი. დიახ, პლეი-ოფები, რომლებიც 2020 წლის გაზაფხულზე გაიმართება და პირველ მათგანში — ნახევარფინალში მომავალ მეტოქეს თბილისში ვუმასპინძლებთ, რაც, დაგვეთანხმებით, ჩვენი გუნდისათვის დამატებითი კოზირია. სხვათა შორის, საკუთარი მინდვრის უპირატესობაც ვლადიმირ ვაისის შეგირდებს უკვე დასრულებულ ტურნირში შთამბეჭდავმა თამაშმა მოუტანა.

და კიდევ: უკანასკნელი ტურის მატჩს ყაზახეთთან ერთ ძველ გულშემატკივართან ერთად ვადევნებდი თვალს. საფინალო სასტვენის შემდეგ ცრემლმორეულმა მითხრა — ჩაკვეტაძემ ცხონებული ბასა ღოღობერიძე გამახსენა, რომელმაც კრიზისულ პერიოდში მარტომ ათრია თბილისის „დინამოო“. შეიძლება ვუნდერკინდის ლეგენდარულ წინამორბედთან შედარება ვინმეს გადაჭარბებული ეგონოს, მაგრამ ჭეშმარიტების მარცვლის დანახვა ნამდვილად შესაძლებელია. განვლილ შეხვედრებში გატანილი 4 ბურთი, შესრულებული 3 საგოლე გადაცემა და მოპოვებული პენალტი „ჯვაროსანთა“ ახალი ლიდერის მართლაც რომ მრავლისმეტყველი სადარბაზო ბარათია.

თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს — კერძოდ, უნიჭიერესი ჭაბუკის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი. რა თქმა უნდა, „ბარსელონას“, „რომასა“ და „ტოტენჰემის“ დაინტერესებას ყველა ინატრებს, მაგრამ მის ყველა მოკეთეს, მათ შორის ჩვენს კოლეგებსაც, ოქროს შუალედის დაცვა გვმართებს, უნებლიედ დათვური სამსახური რომ არ გავუწიოთ.

საქართველო - ყაზახეთი 2:1

გოლები: მერებაშვილი, ჩაკვეტაძე.

საბოლოო მდგომარეობა: **საქართველო — 16, ყაზახეთი — 6, ლატვია — 4, ანდორა — 4 ქულა.**

ბომბარდირი: **ჩაკვეტაძე (საქართველო) — 4 გოლი.**

დავძენთ, რომ ელიტური „ა“ კალათის ნახევარფინალში ითამაშებენ მასპინძელი პორტუგალია, ინგლისი, ჰოლანდია და შვეიცარია.

გიორგი შოთაძე

◎ წოლჭიმი

ძმები ვანო (მარცხნივ) და სპარტაკ დოლენჯაშვილები

რკინასთან ჭიდილში

ახლახან გლდანის სპორტკომპლექსმა ევროპის მეექვსე ჩემპიონატს უმასპინძლა ძალისმიერი სამჭიდის ერთ-ერთ მოძრაობა წოლჭიმში.

კონტინენტური ფორუმის მშვენებას წარმოადგენდა 125 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე კარდენახელი გოლიათის, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის თანამშრომლის სპარტაკ დოლენჯაშვილის გამოსვლა, რომელმაც 220-კილოიანი შტანგა დაიმორჩილა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ჩვენი თანამემამულე განსაკუთრებული მადლიერებით გვისახელებს პირველ მწვრთნელს — **გია ილურიძეს** და ამჟამინდელ დამრიგებელს — **ილია მარტყოფლიშვილს,** შემდეგ კი მოკრძალებით გვაცნობს საკუთარ სპორტულ ბიოგრაფიას: პირველი წარმატებები 2014 წელს უკავშირდება, როცა ჯერაც ჭაბუკმა 100 კგ წონით კატეგორიაში ზედიზედ მოიგო საქართველოს ღია თასი (150 კგ), ირანის საერთაშორისო ტურნირი, შავი ზღვის თასი (170 კგ) და ლუცკში (უკრაინა) გამართული თანატოლთა პრესტიჟული ასპარეზობა (195 კგ).

მისი ჯილდოების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ოფიციალურ შეჯიბრებაზე ერთბაშად ორი „ოქრო“ და ერთი „ვერცხლი“ მოიპოვა.

სპარტაკისთვის არანაკლებ წარმატებულია წლევანდელი სეზონი, რომელიც თებერვალში რკინის ევრაზიის ტურნირზე 110 კილოგრამ წონით კატეგორიაში დაძლეული 180 კგ-თი დაიწყო და თბილისური ფორუმის შესარჩევ რაუნდში დაფიქსირებული სალიცენზიო შედეგით გაგრძელდა, დამაგვირგვინებელ მიღწევაზე კი ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

ვიმედოვნებთ, გაგრძელება იქნება.

კოგა კოგახიძე

ახალი წიგნი ფრედი ვუდროფის მკვლელობაზე

(მეცხრე გვერდიდან)

„რუსები იცნობდნენ CIA-ს მუშაობის კულტურას და იცოდნენ, რომ ვუდროფი თავის ეჭვებს არავის გაუზიარებდა მანამ, სანამ მთავარ შტაბბინაში დაბრუნდებოდა, ლენგლიში, ვირჯინიის შტატში. ამდენად, რუსებს ორკვირიანი პერიოდი ჰქონდათ მის მოსაკლავად“, — ამბობს პულარა.

„როცა ეიმსი ბოლოს მაინც დააპატიმრეს, 1994 წლის თებერვალში — ერთ კვირაში მას შემდეგ, რაც ვუდროფის მკვლელობაში ანზორ შარმაიძე ცნეს ბრალდებულად, CIA-მ მაშინვე დაიწყო იმის გამოძიება, იყო თუ არა კავშირი ეიმსსა და ვუდროფის მკვლელობას შორის. მაგრამ ამ გამოძიების გაგრძელება მათ დისკომფორტს უქმნიდა. ეიმსის დაპატიმრებამ ახალი საჭიროება შექმნა — ეს მოღალატე არ უნდა ყოფილიყო დადანაშაულებული ამერიკელის მკვლელობაში. მას, შესაძლოა, ბევრი რუსი ჰყოლოდა მოკლული და მაინც სამუდამო პატიმრობა მიეღო. მაგრამ თუკი CIA-ლი კოლეგის მკვლელობა ჰქონდა განზრახული, ამ შემთხვევაში ძალიან გართულდებოდა მისთვის სიკვდილით დასჯის თავიდან აცილება, CIA-ს კი ეიმსი ცოცხალი სჭირდებოდა, რათა მომავალი 30 წლის განმავლობაში ის დაეკითხათ“, — აცხადებს პულარა და დასძენს, პოლიტიკურად ხელსაყრელი ვითარება დიპლომატიის საჭიროებას გადაეჯაჭვა, შედეგად კი ფრედი ვუდროფი ყველამ მიატოვაო.

ამ ინტერვიუში პულარა საქართველოს მაშინდელ მთავრობაზეც ლაპარაკობს და ამბობს, რომ რეალური ხელისუფლება მაშინ „მაფიის ნათლია“ ჯაბა იოსელიანს და 5000-მდე წევრისგან შემდგარ გასამხედროებულ დაჯგუფება „მხედრიონს“ ეჭირათ ხელში. **„იოსელიანს და მის არმიას ახლო კავშირები ჰქონდათ რუსეთის სამხედრო დაზვერვასა და ვუდროფთან მანქანაში მყოფი სამი პირიდან ორთან“,** — ამბობს პულარა. მისი თქმით, მკვლელობის რეალური გამოძიება რომ ჩატარებულიყო, გამოიკვეთებოდა „გრუს“ როლი, რაც არ იქნებოდა იოსელიანის ინტერესებში. **„სანამ (იოსელიანი) ან რუსეთი ამას დაუშვებდნენ, ისინი შევარდნაძეს ხელისუფლებიდან გააძევებდნენ, ამერიკას კი საქართველოდან“,** — ამბობს პულარა. თუმცა, მისი აზრით, მაშინდელ საქართველოში მოქმედი ყველა ჯგუფის ინტერესი გადაიკვეთა იქ, რომ პრობლემა უნდა გამქრალიყო და აშშ-ც კმაყოფილი დარჩენილიყო. **„რადგან მაშინაც კი, თუკი „მხედრიონი“ ხარ, მაინც გინდა, ქვეყანაში ამერიკული ფული შემოდიოდეს“,** — ამბობს პულარა.

ამერიკის დაკმაყოფილება კი იოლი აღმოჩნდაო, ამბობს ადვოკატი და იხსენებს ედუარდ შევარდნაძის მონათხრობს, რომ როცა ის აეროპორტში CIA-ს დირექტორს ვულსის, შეხვდა ვუდრაფის გვამის გადასაცემად, ვულსის მომხდარი მკვლელობა არც უხსენებია. ამ უცნაური გამოტოვებიდან შევარდნაძემ დაასკვნა, რომ აშშ-ს სურდა, ეს ისტორია მიჩქმალულიყო.

* * *

ინტერვიუს ბოლოს, მისი წიგნის ძირითად მიზნებზე საუბრისას, პულარა ამბობს, რომ სურდა, ღირსება აღედგინა როგორც ფრედი ვუდროფისთვის, ისე ვუდროფების მთელი ოჯახისა და ანზორ შარმაიძისთვის. **„ვფიქრობ, ფრედი გმირი იყო, მაგრამ მისთვის ეს სტატუსი არასოდეს მიუნიჭებიათ“,** — ამბობს წიგნის ავტორი და იქვე დასძენს: **„ჩემი მთავარი მიზანი კი ისაა, რომ ადამიანები დავარწმუნო — მათ შეუძლიათ ცვლილების გამოწვევა. არა აქვს მნიშვნელობა კონკრეტულ საკითხს — თუკი რაიმე ძალიან გაღელვებს, შეძლებ გავლენის მოხდენას. საინტერნეტო „ლაიქების“ დასმა ან ტვიტერში ინფორმაციის გავრცელება არ არის ერთადერთი რამ, რაც შეგიძლია. მე გეუბნებით, რომ ყველას ძალგვიძს ფართო ასპარეზზე გასვლა და ცვლილების მოხდენა“.**

RADIOTAVISUPLEBA.GE

ხსოვნა

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარეს მარინა გიგინეიშვილს მეუღლის

რომეო გურგენაძის

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: 21.XI.16 სთ. ბაგები, I კორპუსი, II სადარბაზო, VI სართული;

გამოსვენება: 22 ნოემბერს, ხუთშაბათს, 14 სთ.

სანთელი

დიტო ბაქანიძე

გამოვხატავთ ღრმა მწუხარებას და თანავუგრძნობთ ჩვენს უახლოეს მეგობარ გიზო ბაქანიძეს და მის ოჯახს უსაყვარლესი, უნიჭიერესი და უკეთილშობილესი შვილის

დიმიტრის (დიტოს)
37 წლის ასაკში

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 21 XI, 14 სთ-ზე, გამოსვენება 22 XI,15 სთ-ზე, ყოფილი სტუდქალაქის სამების ეკლესიიდან.

მეგობრები გივი აბდუშელიშვილი, ვალერი ასათიანი, მერაბ ახობაძე, ჯუმბერ ბერაძე, ჯემალ ბერიძე, ამირან ბოდოკია, თამაზ გაბუნია, ბიჭი დადიანი, ალექსანდრე დიდებულიძე, ლია დათებაშვილი, გურამ დგებუაძე, თემურ თოფურიძე, სულიკო თაბაგარი, ომარ კაჭარავა, ჯემალ კეთილაძე, ალიკო კობაიძე, ჯემალ კუხალაშვილი, ზურაბ ლომიძე, მურმან მაჭარაშვილი, ომარ ულენტი, დავით სალარიძე, გიორგი სალუქვაძე, ომარ სიამაშვილი, გენრი ფრანგულაიშვილი, ზურაბ ძარუმიძე, ვალერი შამათავა, გრიგოლ შონია, ვიტალი ულონტი, ვახტანგ ცხადაძე, გიორგი ცინცაძე, რამაზ ხუროძე, გივი ჯაფარიძე.

კამპანია „მეტი უსაფრთხოებისათვის“ გრძელდება

დედაქალაქის მერიისა და კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ერთობლივი სოციალური კამპანია — „მეტი უსაფრთხოებისთვის“ გრძელდება.

როგორც „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სწრაფი რეაგირების სამსახურში გამართულ ბრიფინგზე თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანმა განცხადა, დედაქალაქის მერია კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ მოუწოდებს, საცხოვრებელ ბინებში კუსტარულად დამონტაჟებული გაზის გამათბობლებისა და წყლის გამაცხელებლების აღმოჩენის შემთხვევაში კიდევ უფრო გაამკაცრონ ზომები.

„2018 წელს, დედაქალაქის მასშტაბით დაფიქსირდა CO-თი მოწამვლის 16 და გარდაცვალების 13 შემთხვევა. ამ ციფრების უკან დგანან კონკრეტული ოჯახები, რომლებმაც დაკარგეს ძვირფასი ადამიანები. მე კიდევ ერთხელ მინდა ვთხოვო და მოვუწოდო კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისს“, მთელი სიმკაცრით მიუდგნენ ისეთ შემთხვევებს, სადაც ადგილი ექნება გაზის გამათბობლებისა და წყლის გამაცხელებლების კუსტარულად დაყენებას, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არამარტო იმ ოჯახს, არამედ მეზობლებსაც. ასევე მინდა, ვთხოვო დედაქალაქის მოსახლეობას, ნებისმიერი საფრთხის არსებობის შემთხვევაში დარეკონ „ყაზტრანსგაზ თბილისის“ ტელეფონის ნომერზე — 114 და მოითხოვონ გაზის ქსელის შემოწმება. მათ მომსახურებას გაუწევენ კომპანიის კვალიფიციური თანამშრომლები“, — განაცხადა თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანმა.

„ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სპეციალურმა მმართველმა გიგლა თამაზაშვილმა კამპანიის დეტალებზე ისაუბრა და მოსახლეობას კონკრეტული რეკომენდაციების დაცვა სთხოვა.

„მოვუწოდებთ ჩვენს აბონენტებს, მაქსიმალურად გაითვალისწინონ ჩვენი რჩევები და რეკომენდაციები, რომლებსაც „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ თანამშრომლები გასცემენ გეგმიური შემოწმების დროს. ამასთან, „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ 24-საათიან რეჟიმში ემსახურება დედაქალაქის მცხოვრებლებს და ნებისმიერ დროს გამოძახების შემთხვევაში, თანამშრომლები მზად არიან, მივიდნენ და უფასოდ მოემსახურონ“, — განაცხადა გიგლა თამაზაშვილმა.

ღონისძიებას, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი შალვა ხუციშვილი დაესწრო. „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სწრაფი რეაგირების სამსახურში ასევე იმყოფებოდნენ მაშველები, 114-ის სამუშაო ჯგუფის წევრები და სხვადასხვა დროს CO-თი მოწამლული მოქალაქეები, რომლებმაც კონკრეტული ისტორიები გაიხსენეს და მოსახლეობას უსაფრთხოების წესების დაცვისკენ მოუწოდეს.

შეტყობინება ტენდერის გაუქმების შესახებ

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე)/შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ 2018 წლის 12 ოქტომბერს გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის №203 (8604)-ში გამოქვეყნებული ტენდერი ჯვარი-ხორგას ელ. გადამცემი ხაზის პროექტის „ბ“ პაკეტის ფარგლებში განსახორციელებელი **„500 კვ ორ-ჯაჭვა ელ. გადამცემი ხაზის დაახლოებით 8 კმ-ის და 220 კვ ორ-ჯაჭვა ელ. გადამცემი ხაზის დაახლოებით 60 კმ-ის დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების დასრულებაზე“** გაუქმებულია.

ულოცავენ

თეიმურაზ ჯანაშია, ნოდარ თოფურია, ვაჟა ადეიშვილი, საქართველოს მშენებელთა ფედერაციის პრეზიდიუმი, სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენის“ ადმინისტრაცია გულითადად ულოცავენ ყოფილი გაერთიანება „თბილქალაქმშენის“ ყოფილ უფროსის მოადგილეს, საქართველოს დამსახურებულ მშენებელს, მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალ ინჟინერს, სამშენებლო სფეროს ღვაწლმოსილ მუშაკს, კარგ მეგობარს, მოქალაქესა და მეოჯახეს, საზოგადოების შესანიშნავ წარმომადგენელს, ბატონ

გიორგი ლორთქიფანიძეს

დაბადების 80 წლის იუბილეს და უსურვებენ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლესა და ლამაზ სიბერეს.

უფლის მფარველობა არ მოგკლებოდეთ, ბატონო გიორგი.

NATIONAL GEOGRAPHIC TRAVELER საქართველოს შესახებ

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სამოგზაურო ჟურნალი National Geographic Traveler-ის ჟურნალისტი დევიდ ფარლი მკითხველს საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს უზიარებს.

A GUEST AT THE FEAST

„სტუმარი სუფრასთან“ ამ სათაურით გამოქვეყნებულ სტატიაში ჟურნალისტი ქართულ კერძებს და ქართული სუფრის ტრადიციებს აღწერს. **„ქართველების მსგავსად სუფრასთან ვერავინ გაგიმასპინძლდებათ. საქართველოს მთიან რეგიონში, რაჭაში, მეგობრები, ოჯახის წევრები სუფრასთან იკრიბებიან, ეს არის ხანგრძლივი, სიცოცხლით სავსე, ალკოჰოლით გაჯერებული შეხვედრა კერძებით დამძიმებულ მაგიდასთან, სადაც ღვინოს თავისუფლად ასხამენ და თამადას ყველა ემორჩილება.“** — წერს დევიდ ფარლი.

„სოფელ ხიმშში მოხვედრა არც ისე იოლია, სანამ რაჭაში ჩავალთ, მანამდე საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა უნდა გავიაროთ, რომელსაც მე-6 საუკუნის ჯვრის მონასტერი გადაჰყურებს. ამის შემდეგ გორს გავივლით იოსებ სტალინის მშობლიურ ქალაქს, შემდეგ მოდის სურამი, სადაც უძველესი ებრაული დასახლება იყო. სურამში ადგილობრივები ტკბილ ნაზუქებს აცხობენ და გზაზე გასაყიდად გამოაქვთ. რიკოთის გვირაბის შემდეგ მაღაროელთა ქალაქი ტყიბული გავიარეთ, შემდეგ შაორის წყალსაცავი. 4-საათიანი მგზავრობის შემდეგ მდინარე რიონის ხიდს მივაღწიეთ“.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

პაპუა-ახალ გვინეაში პოლიციელებმა პარლამენტის შენობა დაარბიეს

პაპუა-ახალი გვინეის პარლამენტს პოლიციელების ჯგუფი დაესხა. **დაპირებული სახელფასო დანამატების მიუღებლობის გამო განრისხებულმა პოლიციელებმა შენობა შტურმით აიღეს, დაწვეს ავეჯი და შეურაცხყოფა მიაყენეს იქ მყოფ პირებს.**

პოლიციელების გაღიზიანება, პაპუა-ახალ გვინეაში ჩატარებული „აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის“ სამიტის ფარგლებში ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის სახელფასო დანამატების მიუღებლობა გახდა.

„პოლიციელები შეშფოთებულნი არიან იმის გამო, რომ ისინი შეცდომაში შეიყვანეს. დილით მათ შეიტყვეს, რომ დაპირებულ დანამატებს არ გადაუხდიდნენ“, — განაცხადა ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელმა დომინიკა კაკასმა. მედიის ცნობით, პოლიციელების დანამატი 350 გვინეური კინა იყო, რაც დაახლოებით 104 აშშ დოლარს შეადგენს.

„აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის“ სამიტი პაპუა-ახალ გვინეაში გასულ კვირას გაიმართა.

ყურადღება! ყურადღება!

ძვირფასო ქართველო ბიზნესმენებო, უნიკალური სამკურნალო თვისებებით განთქმულ **კურორტ საირმეში იყიდება 2433 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი,** რომელიც გამოდგება ნებისმიერი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად.

ფასი შეთანხმებით!

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
599-79-76-79; 599-36-00-35; 599-53-76-16.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6727; ევრო - 3.0268;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4240;
100 რუბლი - 4.01851; თურქული ლირა - 0.4988;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5768;
1000 სომხური დრამი - 5.51304.

ამინდი 21 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+12
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+13
თბილისი:	ღამე	+4,	დღე	+13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge